პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტის და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

ოთხშაბათი, 19 დეკემბერი, 1951 წ. № 296 (9150). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

შევაიარაღოთ სტუდენტები მოწინავე მეცნიერებით—„პრავდის" 18-XII მოწინავე (1-ლი გვერდი).
ბულაჩაურის წყალსადენის მშენებლობაზე — მშენებელთა მეოთხე უბანზე (1-ლი გვერდი).
პარტიული ცხოვრება — რაიკომი სათანადოდ ვერ ეხმარება პარტიული ორგანიზაციების მდივნებს (მე-2 გვერდი).
ვ. ესაიაშვილი—გავაძლიეროთ ბრძოლა ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების აღმოფხვრისათვის (მე-2 და მე-3 გვერდი).
ვ. შავგულიძე — ლენინის სახელობის ვოლხოვის ჰიდროელსადგურის ამუშავების 25 წლისთავი (მე-2 გვერდი).
ორდენებისა და მედლების გადაცემა (მე-2 გვერდი).
რატომ დაამახინჯეს სოციალისტური შეჯიბრების პრინციპი? (მე-3 გვერდი).
სამილე ძლეგის "სპამჭრობ" მოწინავენი (მე-3 გვერდი).
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესია (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

შევაიარაღოთ სტუდენტები მოწინავე მეცნიერებით

მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგის სპეციალისტთა მომზადებასა და აღზრდას საბჭოთა სახელმწიფოს ღონისძიებათა სისტემაში ყოველთვის ეკავა და უკავია დიდმნიშვნელოვანი ადგილი.

კომუნისტური პარტია, ამხანაგი სტალინი განუწყვეტლივ ზრუნავენ უმაღლესი სკოლის განვითარებისათვის, მისი მუშაობის გაუმჯობესებისათვის. ჩვენს ქვეყანაში წლითიწლობით ფართოვდება უმაღლეს სასწავლებელთა ქსელი, იზრდება სტუდენტთა არმია. მარტო ომისშემდგომი ხუთი წლის მანძილზე საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობამ მიიღო უმაღლესი განათლების მქონე 652 ათასი და საშუალო განათლების მქონე 1.278 ათასი სპეციალისტი. წელს უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში ორი მილიონ შვიდას ოცი ათასი კაცი სწავლობს. მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არის უმაღლესი განათლების ისეთი გაქანება, არ არის სტუდენტთა ისეთი რაოდენობა, როგორიც ჩვენს სამშობლოში.

მიმართავდა რა პროლეტარული სტუდენტობის პირველ საკავშირო კონფერენციას 1925 წელს, ამხანაგი სტალინი წერდა:

„მე ვფიქრობ, რომ ჩვენი ქვეყანა თავისი რევოლუციური ჩვევებითა და ტრადიციებით, თავისი ბრძოლით აზრის უძრაობისა და გაყინვის წინააღმდეგ, წარმოადგენს ყველაზე ხელსაყრელ ნიადაგს მეცნიერებათა განვითარებისათვის... ჩვენს ქვეყანას ამ მხრივ დიდი მომავალი აქვს, — იგი ბორკილებისაგან თავისუფალ მეცნიერებათა ციხე-სიმაგრე და კერა უნდა გახდეს".

ცხოვრებამ სავსებით დაადასტურა ამხანაგ სტალინის წინასწარხედვა. სოციალიზმის პირობებში მეცნიერებამ პირველად მოიპოვა თავისი განვითარების უსაზღვრო შესაძლებლობანი. ჩვენი ქვეყანა მოწინავე მეცნიერების ნამდვილი ციხე-სიმაგრე გახდა. ჩვენში მეცნიერება და მეცნიერები მთელი ხალხის მხარდაჭერითა და სიყვარულით სარგებლობენ, რადგან საბჭოთა მეცნიერება ერთგულად და სიმართლით ემსახურება ხალხს, კომუნიზმის მშენებლობის საქმეს.

მეცნიერთა კადრების, ცოდნის ყველა დარგის სპეციალისტების მომზადებაში, ახალი საზოგადოების მშენებლობაში დიდი როლი ეკუთვნის საბჭოთა უმაღლეს სკოლას. იგი მოწოდებულია განუწყვეტლივ შეავსოს საბჭოთა სახალხო ინტელიგენციის რიგები კვალიფიციური ახალგაზრდა სპეციალისტებით, აღზარდოს სტუდენტობა საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით, ლენინ-სტალინის პარტიისადმი ერთგულების სულისკვეთებით.

სტუდენტთა აღზრდისა და სწავლის საქმეში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს უმაღლეს სკოლაში საზოგადოებრივი დისციპლინების სწავლების სწორად მოწყობას. მარქსისტულ-ლენინური თეორია ახალგაზრდა სპეციალისტებს აიარაღებს საზოგადოების განვითარების კანონთა ცოდნით, აღაფრთოვანებს და რაზმავს მათ იმისათვის, რომ აქტიური მონაწილეობა მიიღონ კომუნიზმის აშენებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში.

„ლენინელს არ შეუძლია იყოს მხოლოდ მის მიერ ამორჩეული მეცნიერების დარგის სპეციალისტი, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — **იგი ამასთან ერთად უნდა იყოს პოლიტიკოსი — საზოგადოებრივი მუშაკი, რომელიც ცხოველი ინტერესით ეკიდება თავისი ქვეყნის ბედ-იღბალს, რომელიც იცნობს საზოგადოებრივი განვითარების კანონებს, რომელსაც შეუძლია გამოიყენოს ეს კანონები და რომელიც ცდილობს იყოს ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის აქტიური მონაწილე".**

საბჭოთა სტუდენტობა დიდ ინტერესს იჩენს მარქსისტულ-ლენინური თეორიისადმი. უმაღლეს სკოლაში საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების დონე განუწყვეტლივ მაღლდება. როგორც ბევრი უმაღლესი სასწავლებლის პრაქტიკა გვიჩვენებს, საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრები აუმჯობესებენ მუშაობას, უფრო დიდ მოთხოვნებს უყენებენ ლექციებსა და სემინარულ მეცადინეობას, ებრძვიან თალმუდიზმისა და მედავითნეობის გამოვლინებებს.

მაგრამ ჯერ კიდევ ყველა უმაღლეს სასწავლებელში როდია მიღწეული საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების ჯეროვანი დონე. ბევრ უმაღლეს სასწავლებელში მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების, პოლიტიკური ეკონომიის, ფილოსოფიის სწავლება კვლავ არადამაკმაყოფილებელია. მთავარი ნაკლი აქ ის არის, რომ ბევრი ლექციისა და სემინარული მეცადინეობის იდეურ-თეორიული დონე ჯერ კიდევ დაბალია. ზოგიერთი მასწავლებელი მედავითნურად უდგება მარქსისტულ-ლენინური თეორიის გაშუქებას. ხშირად მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სწავლება ორგანულად არ უკავშირდება კომუნისტური მშენებლობის ამოცანებსა და პრაქტიკას. ფაქტიური მასალის გაშუქებისას ზოგიერთი მასწავლებელი ღრმა ანალიზს არ უკეთებს ისტორიულ მოვლენებს, არ უჩვენებს მარქსიზმ-ლენინიზმს მოქმედებაში.

საზოგადოებრივი დისციპლინების სწავლებაში სერიოზული ნაკლოვანებანია, მაგალითად, მოსკოვის ეკონომიკა-სტატისტიკის ინსტიტუტში. ფილოსოფიის კათედრის მასწავლებელთა ნაწილი კითხულობს ცხოვრებასთან დაუკავშირებელ ლექციებს, სტუდენტებს სთავაზობს ზერელე, ზოგჯერ კი პირდაპირ არასწორ დებულებებს. ინსტიტუტის დირექციამ იცის ეს ნაკლოვანებანი, მაგრამ არ იღებს ზომებს მათი აღმოფხვრისათვის.

კომუნისტური მშენებლობის ინტერესები მოითხოვენ ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას. საჭიროა, რომ უნივერსიტეტები, ინსტიტუტები და ტექნიკუმები მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი ცხოვრებასთან, ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის პრაქტიკასთან. ლექციური, სემინარული და პრაქტიკული მეცადინეობა უნდა ეწყობოდეს მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების, წარმოების ნოვატორთა ძიების გამოცდილების გათვალისწინებით.

კომუნიზმის დიად მშენებლობებთან დაკავშირებით ჩვენი ტექნიკური უმაღლესი სკოლების წინაშე დიდი და პასუხსაგები ამოცანები ისახება. ათობით უმაღლესი სასწავლებელი ამზადებს სპეციალისტებს ამ მშენებლობათათვის. ჰიდროელექტროსადგურების სამშენებლო მოედნებზე, არხების ტრასებზე, კომუნიზმის მშენებლობათა დაკვეთების შემსრულებელ საწარმოებში ახლა ურთულესი მეცნიერული და ტექნიკური პრობლემები წყდება. უმაღლესი სასწავლებლები ამ პრობლემებს უნდა იცნობდნენ, სტუდენტები უნდა აღჭურვონ მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელ მიღწევათა ცოდნით, წარმოების ნოვატორთა გამოცდილებით.

ახალგაზრდა საბჭოთა სპეციალისტი უნდა იყოს ნოვატორი, შემოქმედებითი აზრის ადამიანი, რომელიც ვერ ურიგდება რუტინასა და უძრაობას. სწორედ ასეთი უნდა აღზარდოს იგი უმაღლესმა სასწავლებელმა. მაგრამ განა ასეთია საქმის ვითარება ყველა უმაღლეს სასწავლებელში?

ჩვენში უკლებლივ ყველა ინსტიტუტს მოეპოვება ყველა შესაძლებლობა იმისათვის, რომ თავისი მუშაობა განუყრელად დაუკავშიროს პრაქტიკას, წარმოებას. ამას, კერძოდ, მოწმობს კიევის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მუშაობის გამოცდილების მაგალითი. ამ ინსტიტუტმა კავშირი დაამყარა გორკის მოლოტოვის სახელობის საავტომობილო ქარხანასთან. ქარხნის მუშაკებმა მასწავლებლებს გააცნეს უმნიშვნელოვანესი საწარმოო-ტექნიკური პრობლემები, რომლებიც საწარმოში წყდება. ამის საფუძველზე მნიშვნელოვანწილად დაკონკრეტდა და გაფართოვდა სტუდენტთა სადიპლომო შრომებისა და ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი ძიების თემატიკა.

ამავე დროს გორკის პოლიტექნიკური ინსტიტუტი, რომელიც საავტომობილო ქარხნის გვერდით მდებარეობს, წარმოებას მოწყვეტილი მუშაობს. ამ ინსტიტუტის საავტომობილო კათედრის თანამშრომლებმა თვითონ არ იციან, თუ რა პრობლემები აინტერესებს ჩვენი ქვეყნის უდიდესი საავტომობილო საწარმოს მუშაკებს, ბუნებრივია, რომ ისინი ამას სტუდენტებსაც ვერ გააცნობენ.

საბჭოთა უმაღლეს სკოლაში დიდი აღმზრდელობითი მუშაობა წარმოებს. მთელ ამ მუშაობას უმაღლესი სასწავლებლების პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები უნდა ხელმძღვანელობდნენ. უმაღლესი სასწავლებლების პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობაში მთავარია სტუდენტობის იდეური აღზრდა. უმაღლესი სასწავლებლების პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მთელი მუშაობის მიზანი უნდა იყოს აღზარდონ საქმის კარგი მცოდნე სპეციალისტები, ლენინ-სტალინის პარტიისადმი უსაზღვროდ ერთგული მგზნებარე საბჭოთა პატრიოტები.

საბჭოთა უმაღლესი სკოლა უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანებს წყვეტს. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა ღრმად ჩასწვდნენ თვითეული უნივერსიტეტისა და ინსტიტუტის მუშაობას, ყოველი ღონისძიებით გაუწიონ მათ დახმარება ახალგაზრდა სპეციალისტთა კადრების მომზადებაში, აამაღლონ საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების დონე, გააუმჯობესონ სტუდენტობის იდეურ-პოლიტიკური აღზრდა. მოვუმზადოთ ჩვენს ქვეყანას მოწინავე მეცნიერების ცოდნით შეიარაღებულ კვალიფიციურ სპეციალისტთა ახალი რაზმები, კომუნიზმის აქტიური მშენებლები!

„პრავდის" 18-XII მოწინავე

ჩვენს რესპუბლიკაში

საქართველოს ქვანახშირის კომბინატმა ვადამდე შეასრულა წლიური გეგმა

საქართველოს ქვანახშირის კომბინატმა 15 დეკემბრისათვის 100,1 პროცენტით შეასრულა ქვანახშირის ამოღების წლიური გეგმა.

ქვანახშირის ამოღების გადიდება 1950 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 15,9 პროცენტს შეადგენს.

საქართველოს მეშახტეებმა ვალდებულება იკისრეს წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით ამოიღონ ათიათასობით ტონა ქვანახშირი. (საქდესი).

წლიური გეგმა ვადამდე შეასრულეს

ფოთი. (საკ. კორ.). საზღვაო ნავსადგურის კოლექტივმა წელს დიდი მონდომებით იმუშავა, წლიური გეგმა 34 დღით ადრე და მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლებით შესრულა. საგრძნობლად გაიზარდა ტვირთის დამუშავების მექანიზაცია.

10 თვეში ნავსადგურმა სახელმწიფოს მისცა 1.240 ათასი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება.

ახალციხე. (საკ. კორ.). ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის საწარმოებმა ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება და 1 დეკემბრისათვის 104,5 პროცენტით შეასრულეს წლიური გეგმა, 3,6 პროცენტით შეამცირეს პროდუქციის თვითღირებულება. ავეჯის, აგურის, სახამებლისა და ლუდის საწარმოებმა, აგრეთვე საკონდიტრო ფაბრიკამ 11 თვეში წლიური დავალებანი 108-125 პროცენტით გაანაღდეს.

ორთქლმავლები სამეურნეო ანგარიშზე

ხაშური. (საკ. კორ.). ხაშურის საორთქლმავლო დეპოს ყველა ორთქლმავალი გადაყვანილია სამეურნეო ანგარიშზე. ორთქლმავლების საუკეთესოდ მოვლით, დეფექტების დროული ლიკვიდაციით და სათადარიგო ნაწილების მაქსიმალური გამოყენებით ორთქლმავალთა მოწინავე გუნდები ფულადი სახსრებისა და საწვავის დიდ ეკონომიას ეწევიან.

დეპოს უფროსმა მემანქანემ ბ. ღონღაძემ წელს 11 თვეში გასწია 5.243 მანეთის ეკონომია და დაზოგა 69 ტონა საწვავი, უფროსმა მემანქანემ ვლ. გოგნაძემ—6.158 მანეთი და 50 ტონა საწვავი, უფროსმა მემანქანემ ყ. ლომიძემ — 6.474 მანეთი და 51 ტონა საწვავი და ა. შ.

ხაშურელმა მეორთქლმავლეებმა განვლილ 11 თვეში მიაღწიეს 77.610 მანეთის ეკონომიას და დაზოგეს 251 ტონა საწვავი.

ახალგაზრდები სამთო-სამრეწველო სკოლებში

ტყიბული. (საკ. კორ.). დაიწყო რაიონის სამთო-სამრეწველო სკოლებში მოსწავლეთა მორიგი გაწვევა. მიღებულ მოსწავლეთა პირველი ნაკადის დიდი უმრავლესობა თავისი სურვილით არის მოსული. ბევრ მათგანს 7-8 კლასის განათლება აქვს.

ახალგაზრდობა განსაკუთრებით ცდილობს დაეუფლოს მეშახტის პროფესიებს. მეცადინეობას შეუდგნენ მნგრეველთა, მთხრელთა და მებიგეთა ჯგუფები.

ჰექტარზე 306.75 ცენტნერი ყურძენი

კარგი მოვლით ყურძნის მოსავლიანობა შეიძლება ერთიორად და მეტად გავადიდოთ. ამას ნათლად მოწმობენ მოწინავე კოლმეურნეობათა მუშაობის მაგალითები.

წელს, მიუხედავად ცუდი ამინდისა, მაიაკოვსკის ბერიის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურმა სოციალისტური შრომის გმირმა დ. ხიზანიშვილმა მოსავლელად მიჩნეულ 0,26 ჰექტარ ფართობზე, ჰექტარზე გადაანგარიშებით 305,5 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა, წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულმა კოლმეურნემ ს. ებანოიძემ კი — 0,2 ჰექტარზე — 306,75 ცენტნერი (ჰექტარზე გადაანგარიშებით).

ყურძნის ასეთივე უხვი მოსავალი მოიყვანეს კოლმეურნეებმა რ. ებანოიძემ, გ. კვირიკაშვილმა, ა. ახალაძემ და სხვებმა.

ხილის უხვი მოსავალი

ქარელი. (საკ. კორ.). ბრეთის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის მუშაკებმა წელს ხილის უხვი მოსავალი მიიღეს. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.978 ტონისა, მიღებულია 2.486 ტონა მაღალხარისხოვანი ხილი.

ბრეთელებმა 1.406 ტონა საუკეთესო ხარისხის ხილი გაუგზავნეს მოსკოვს, ლენინგრადის და საბჭოთა კავშირის მრავალი სხვა სამრეწველო ცენტრის მშრომელებს.

ტირაჟები 1952 წელს

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ დაამტკიცა 1952 წელს სახელმწიფო სესხების მოგებათა ტირაჟებისა და დაფარვის ტირაჟების გეგმა.

სახელმწიფო სამპროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის ტირაჟები მოეწყობა იანვრის, მარტის, მაისის, ივლისის, სექტემბრისა და ნოემბრის 30 რიცხვს. ამ სესხის დამატებითი ტირაჟი გაიმართება 30 სექტემბერს.

22 ივნისს რიაზანში და 28-29 დეკემბერს კალუგაში გაიმართება 1948 წლის სახელმწიფო ორპროცენტიანი სესხის მორიგი ტირაჟები, ხოლო კალუგაში — ამ სესხის დაფარვის პირველი ტირაჟი.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეორე სახელმწიფო სესხის ორი ტირაჟი გაიმართება 9 მარტს ყარაგანდაში, 7-8 სექტემბერს კალინინში, ხოლო იმავე დღეს კალინინში — ამ სესხის დაფარვის პირველი ტირაჟი.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მესამე სახელმწიფო სესხის ორი ტირაჟი გაიმართება აგრეთვე 20 იანვარს კოსტრომაში და 24 აგვისტოს ტიუმენში; სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეოთხე სახელმწიფო სესხისა — 27 აპრილს ლუცკში და 12 ოქტომბერს კრასნოდარში; სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეხუთე სახელმწიფო სესხისა — 18 მაისს ბრესტში და 9 ნოემბერს კურსკში.

პირველად შედგება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების (1951 წლის გამოშვების) სახელმწიფო სესხის მოგებათა ტირაჟი. ამ სესხის პირველი ტირაჟი გაიმართება ვორონეჟში 27 ივლისს, მეორე ტირაჟი კოლომნაში 14 დეკემბერს. (საქდესი).

ქსოვილების გამოშვების გადიდება და ასორტიმენტის გაფართოება

სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საფეიქრო საწარმოები ემზადებიან მომავალ 1952 წელს ქსოვილების გამოშვების შემდგომი გადიდებისა და ასორტიმენტის გაფართოებისათვის. ტექნიკის უკეთ გამოყენებით და ახალი მოწყობილობის დადგმით გადიდდება სამინისტროს ფაბრიკებისა და კომბინატების საწარმოო სიმძლავრე.

ბამბეულის მრეწველობა მნიშვნელოვნად გაადიდებს იმ მაღალხარისხოვანი ქსოვილების დამზადებას, რომლებზეც მეტი მოთხოვნილებაა, — მარკიზეტის, ტაფტის, ხელოვნური აბრეშუმნარევი ქსოვილებისა და სხვათა დამზადებას.

აბრეშუმის მრეწველობის საწარმოები ერთი მესამედითა და მეტით გაადიდებენ კრეპისა და შტაპელის ქსოვილების გამოშვებას, მნიშვნელოვნად გაფართოვდება ასორტიმენტი. გამოშვებულ იქნება ახალი სახის ხელოვნური აბრეშუმის კარგი ქსოვილები — „ოქტომბრის კრეპი", „სამხრეთის კრეპი" და სხვები. მნიშვნელოვნად განახლდება სახოვანება.

სელის მრეწველობა 26 პროცენტით გაადიდებს ფართო სუფრებისა და საზაფხულო საბნების გამოშვებას. თითქმის ერთნახევარჯერ გადიდდება საკოსტიუმე და საკაბე ქსოვილების წარმოება. (საქდესი).

ბულაჩაურის წყალსადენის მშენებლობაზე

მშენებელთა მეოთხე უბანზე

ბულაჩაურელ მშენებელთა მეოთხე უბნის კოლექტივს, რომელსაც სამთო ინჟინერი ლევან ჩქარეული ხელმძღვანელობს, მინდობილი აქვს ერთ-ერთი საწყალსადენო გვირაბის სამუშაოთა შესრულება იმ მონაკვეთზე, რომელიც გვირაბში ჩასასვლელი ვერტიკალური შახტის სამოქმედო ზონაში შედის. ამ შახტიდან ჩადიან გვირაბმშენებლები მიწის სიღრმეში სამუშაოდ, აქედან ამოაქვთ ფუჭი ქანი, აქედანვე ეზიდებიან გვირაბში საშენ და სამაგრ მასალას.

ეს ვერტიკალური შახტი დროებითი ნაგებობაა. გვირაბის მშენებლობა რომ დამთავრდება, შახტი უნდა ამოავსონ, გააუქმონ.

უბნის კოლექტივს გვირაბის ამ პასუხსაგებ მონაკვეთზე სულ სამასიოდე კუბმეტრი ბეტონის სამუშაო დარჩა შესასრულებელი. სხვა ადგილას და სხვა შემთხვევაში ეს ორიოდე დღის საქმე იქნებოდა, მაგრამ აქ სამუშაო ფრონტი იმდენად რთული და მუშაობის პირობები იმდენად მძიმეა, რომ გვირაბმშენებლები დღეში 20-მდე კუბმეტრი ბეტონის ჩასხმას ძლივს ახერხებენ. მთავარ დაბრკოლებას ქმნის სამუშაო ფრონტის სივიწროვე და რთული გეოლოგიური ვითარება. სივიწროვის გამო ვერ ხერხდება კომპლექსური მუშაობა, გამაგრების სამუშაოებისა და ბეტონის ჩასხმის ერთდროულად წარმოება. აქ სამუშაოდ საჭიროა ისეთი მაღალკვალიფიციური მშენებლები, რომლებსაც შეუძლიათ ბეტონის სამუშაოთა მაღალხარისხოვნად შესრულებაც, ქარგილების დადგმაც, გვირაბის გადამაგრებაც და ყველა სხვა სამუშაოს შესრულებაც. საჭიროა აქ ჰყავდეთ ისეთი უნივერსალური გვირაბმშენებლები, რომლებიც დაუფლებული არიან გვირაბმშენებლობის ყველა პროფესიას.

ივანე ნატროშვილი, გიორგი გედიანიძე, ვლადიმერ და გიორგი ყოჩიშვილები, ალექსი ზოსიაშვილი, შამილ ძაგოშვილი, ანტონ თიგიშვილი, ივანე ბაქრაძე, ანდრია იუტკევიჩი, ვალერიან აბრამიშვილი გვირაბმშენებელთა ის საუკეთესო წარმომადგენლები არიან, რომლებიც შესანიშნავად დაეუფლნენ გვირაბის გათხრის, მისი გამაგრების საქმეს, ისწავლეს დურგლობა, რათა ბეტონის ჩასასხმელი ქარგილები თვითონვე გააკეთონ, ისწავლეს ამფეთქებლობა, რათა, თუ მიწისქვეშ გვირაბის გათხრისას კლდეს წააწყდებიან, თვითონვე აფეთქონ და დრო მოიგონ, ბეტონიც თვითონ დაამზადონ, თვითონვე ჩაასხან და, თუ საჭირო შეიქნა, მეტორკრეტეობაც იკისრონ.

შეწყობილად, ენთუზიაზმით მუშაობენ ეს სახელოვანი ადამიანები და წარმატებით იბრძვიან წიაღის სიღრმეში მთის წინააღმდეგობის დასაძლევად, მინდობილი სამუშაოს შესასრულებლად უმოკლეს ვადაში — ახალი წლისათვის.

გვირაბმშენებლებს დიდ დახმარებას უწევენ მიწის ზედაპირზე მომუშავე მშენებლები — მოწინავე მებულდოზერე თამარ ნოქრიშვილი, ზეინკალი გრიგოლ ოქრუაშვილი, მჭედელი პავლე უთმელიძე, მეკომპრესორე არჩილ მრევლიშვილი და სხვები.

ბულაჩაურმშენის გარდამავალი წითელი დროშა ორი უკანასკნელი კვარტალის განმავლობაში ხელთ უპყრია მეოთხე უბნის კოლექტივს. საუკეთესო საწარმოო მაჩვენებლებით შეხვდა ეს კოლექტივი ბულაჩაურის წყალსადენის პირველი რიგის სამუშაოთა დასკვნითი ეტაპის მოახლოებას და ახლა იმისათვის იბრძვის, რომ ასეთივე მაღალი მაჩვენებლებით დაამთავროს ყველა ნაკისრი სამუშაო.

• • •

ბულაჩაურელებმა ნახეს სამგორელთა ზეიმი, მონაწილეობა მიიღეს მასში და უშუალოდ განიცადეს მშენებლების მიერ ბუნების გარდაქმნისათვის ბრძოლაში მოპოვებული შრომითი გამარჯვების სიხარული. ახლა მათი ჯერი დადგა. თბილისი და რუსთავი არანაკლები ინტერესით მოელიან ბულაჩაურის წყაროს წყალს და თვითეულ მშენებელს პირადი ღირსებისა და პატრიოტული გმირობის საქმედ აქვს მიჩნეული მოკლე დროში დაამთავროს პირველი რიგის მშენებლობა, გამოუშვას ბულაჩაურის წყალი.

დ. ლომთაძე

სოციალისტური შრომის გმირები

ა. ბ. იმნაიშვილი
ლანჩხუთის რაიონის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა გაზაფხულის გამოკვების 457,2 კილოგრამი აბრეშუმის პარკის ჩაბარებისა და თვითეულ კოლოფ გრენაზე 120,3 კილოგრამი პარკის მიღებისათვის.

ხ. ტ. ჯორბენაძე
ლანჩხუთის რაიონის ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა გაზაფხულის გამოკვების 382,9 კილოგრამი აბრეშუმის პარკის ჩაბარებისა და თვითეულ კოლოფ გრენაზე 100,8 კილოგრამი პარკის მიღებისათვის.

ლ. ი. ჩხიკვაძე-ჯაყელი
ლანჩხუთის რაიონის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა გაზაფხულის გამოკვების 506,3 კილოგრამი აბრეშუმის პარკის ჩაბარებისა და თვითეულ კოლოფ გრენაზე 101,8 კილოგრამი პარკის მიღებისათვის.

ლ. მ. კობახიძე
ლანჩხუთის რაიონის ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა გაზაფხულის გამოკვების 336,6 კილოგრამი აბრეშუმის პარკის ჩაბარებისა და თვითეულ კოლოფ გრენაზე 112,2 კილოგრამი პარკის მიღებისათვის.

პარტიული ცხოვრება

რაიკომი სათანადოდ ვერ ეხმარება პარტიული ორგანიზაციების მდივნებს

სოფელ არალის კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობა ერთ-ერთი მსხვილი კოლმეურნეობაა ადიგენის რაიონში. ამ კოლმეურნეობაში პარტიული ორგანიზაცია 32 წევრსა და კანდიდატს აერთიანებს.

ერთი წლის წინათ აქ პარტბიუროს მდივნად აირჩიეს ამხ. ს. ჯანაშვილი. მას პარტიული მუშაობის გამოცდილება არა ჰქონდა. ამხ. ჯანაშვილმა თავისი მუშაობა საკოლმეურნეო უბნებზე პარტიული კადრების „განაწილებით" დაიწყო, კომუნისტების დიდი ნაწილი გაიგზავნა „იოლ" სამუშაოზე. მაგალითად, პარტორგანიზაცია დაეხმარა ამხ. პ. კაჭკაჭიშვილს მეწისქვილედ დაეწყო მუშაობა. პარტიის წევრს პ. ჩილინგარაშვილს წისქვილში მარცვლეულის მწონავის „თანამდებობა" მიუჩინეს. ამხ. ს. თათეშვილი საზიდარის მომვლელად გამოჰყვეს. მისი მუშაობა შემოდგომაზე საწყობში კარტოფილისა და კომბოსტოს მიზიდვით განისაზღვრება. წლის სხვა დროს კი იგი თავისუფალია. ასეთსავე მსუბუქ სამუშაოზეა ს. ჩილინგარაშვილი და სხვ.

ამიტომაც კოლმეურნეობაში დაბალია კომუნისტების ავანგარდული, დამრაზმავი როლი.

პარტბიუროს მდივანი ვერ ერკვევა თავის ფუნქციებში. ივნისში ამხ. ჯანაშვილმა დახმარებისათვის მიმართა პარტიის რაიკომს. მის დასახმარებლად გაგზავნეს რაიკომის ინსტრუქტორი ამხ. შ. ერაძე.

— ბიუროს სხდომაზე წინასწარ უნდა განიხილო საკითხი, შემდეგ უნდა გადაიტანო საერთო კრებაზე, გადაწყვეტილებისადმი კონტროლი უნდა დააწესო, — მისცა მან „ინსტრუქტაჟი" ამხ. ჯანაშვილს და უკან დაბრუნდა.

მდივნისათვის გაუგებარი დარჩა, როგორ ემუშავნა, როგორ უნდა მოემზადებინა ბიუროს სხდომისათვის საკითხი, როგორ მოეწყო დადგენილებათა შესრულების შემოწმება.

პარტბიუროს მდივანმა განიზრახა მორიგ კრებაზე განეხილა სააგიტაციო მუშაობის საკითხი, 28 ივნისს მოიწვია ბიუროს „სხდომა" და ბიუროს წევრებს განუცხადა: 30 ივნისს პარტიული კრება გვექნება, სააგიტაციო მუშაობის საკითხს განვიხილავთო. ამით დამთავრდა ბიუროს „სხდომა". 30 ივნისს კრება ისე მოიწვიეს, რომ საკითხი არ მოუმზადებიათ. მომხსენებელი იყო აგიტპუნქტის გამგე პ. ჩილინგარაშვილი.

კრების ოქმში ჩაიწერა: „პ. ჩილინგარაშვილმა, ა. ჩილინგარაშვილმა, ლ. ფეიქრიშვილმა აიღეს ვალდებულებანი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის".

„ვალდებულებათა აღების" ნიშნით წარიმართა აგრეთვე პარტიული კრებები, მიძღვნილი სააგიტაციო მუშაობის განხილვისადმი 30 იანვარს, 27 მარტს, 30 აპრილს და 15 მაისს. ცხადია, „საზეიმო ვითარებაში" საკითხის განხილვამ საქმეს ვერ უშველა. ამიტომ აგიტატორები ელ. თათეშვილი, ლ. ფეიქრიშვილი და თ. თათეშვილი კვლავ უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან მინდობილ საპატიო მოვალეობას.

საკითხების ასეთი ზერელე განხილვა დამახასიათებელია არალის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციისათვის. კოლმეურნეობაში სუსტი იყო შრომის დისციპლინა. ოთხი თვის მანძილზე კოლმეურნეებს ნ. ვარდიძეს და თ. ფეიქრიშვილს სრულიად არ ჰქონდათ გამომუშავებული შრომადღეები, ან. ვარდიძემ გამოიმუშავა მხოლოდ 3 შრომადღე, მ. კაჭკაჭიშვილმა — 2, ქ. ჩილინგარაშვილმა — 3, ს. ჩილინგარაშვილმა — 1 შრომადღე და ა. შ. 18 აპრილს პარტიულ კრებაზე მოისმინეს შრომის დისციპლინის განმტკიცების საკითხი. მოხსენება გააკეთა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ი. თათეშვილმა. კრებაზე ამჯერადაც აიღეს ახალი „ვალდებულებანი". ოქმში ვკითხულობთ: „აზრი გამოთქვეს ს. ჩილინგარაშვილმა, მ. თათეშვილმა, ს. ტატაშვილმა, პ. ჩილინგარაშვილმა, რომლებმაც იკისრეს ვალდებულებანი ნაკლოვანებათა დროზე აღმოსაფხვრელად".

ამ კრებიდან 12 დღემ განვლო. 30 აპრილს პარტიულ კრებაზე იდგა საკითხი „18 აპრილს მიღებული დადგენილების შემოწმების შესახებ". ამ კრებაზეც ახალი არაფერი თქმულა, არსებითად არც არაფერი იყო შესამოწმებელი.

აგვისტოს დასაწყისში პარტიის ადიგენის რაიკომმა განიზრახა პარტბიუროს მუშაობის ანგარიშის მოსმენა. რაიკომის ბიუროს სხდომისათვის საკითხი მოამზადა პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების განყოფილების გამგემ ამხ. ვ. ბერიშვილმა. მაგრამ საკითხი საფუძვლიანად არ ყოფილა შესწავლილი. რაიკომის ბიურო მხოლოდ ორიოდე შენიშვნით დაკმაყოფილდა, არ დაუსახავს საჭირო ღონისძიებანი პარტბიუროს მუშაობის გაჯანსაღებისათვის. ამიტომ პარტიული ორგანიზაციის მუშაობას არავითარი გაუმჯობესება არ დასტყობია. კვლავ ცუდად მზადდება პარტიული კრებები და ბიუროს სხდომები.

31 აგვისტოს პარტბიუროს სხდომა მიეძღვნა სკოლებში სასწავლო წლისათვის მზადყოფნის საკითხს. მოხსენება გააკეთა 8-წლიანი სკოლის დირექტორმა ნ. შენგელიამ. პარტბიურომ ასეთი დადგენილება მიიღო: „ეცნობოს განათლების განყოფილებას შემჩნეულ ნაკლოვანებებზე, არ გაიყვანონ სასწავლო საათებში სამუშაოდ მოწაფეები". სხვას რომ თავი დავანებოთ, საკითხავია: რა შუაშია აქ საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია, როცა სკოლაში დიდი ხანია არსებობს პარტიული ორგანიზაცია?

ადიგენის რაიონის სოფელ დიდი სმადის ვიშინსკის სახელობის კოლმეურნეობაში საზოგადოებრივი მეცხოველეობა მეურნეობის წამყვანი დარგია. აქ დაუდევრობას იჩენენ პირუტყვის მოვლა-პატრონობისადმი. მოუვლელობით დაიხოცა 28 მსხვილფეხა პირუტყვი, 44 ცხვარი, 25 თხა, 13 ღორი და 55 ფრთა ქათამი. დაბალია ძროხების პროდუქტიულობა. თვითეულ საფურავე ძროხაზე 800 ლიტრის ნაცვლად მიღებულია 182 ლიტრი რძე. წესიერად არ უვლიან პროდუქტიულ ძროხებს. ყურადღება არ ექცევა ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებას, ბერწიანობის ლიკვიდაციას და პირუტყვის სადღეღამისო ნორმალურ კვებას.

კოლმეურნეობაში საკვების დაგროვების მნიშვნელოვანი ბაზა არსებობს, მაგრამ მას არ იყენებენ. თივის დამზადების გეგმა 70 პროცენტით შესრულდა, უხეში საკვებისა — 69 პროცენტით, გეგმის შესრულებას 25 ტონა სილოსი დააკლეს. საკვების არსებული მარაგი პირუტყვს ვერ უზრუნველყოფს ზამთარში. ამიტომ მომავალში მოსალოდნელია ძროხების პროდუქტიულობის უფრო მეტად შემცირება.

პარტბიურო გვერდს უვლის მეცხოველეობის განვითარების საქმეს. მიმდინარე წელს პარტორგანიზაციას კრინტი არ დაუძრავს ამ საკითხებზე.

აქ ნაკლებად იხილავენ კომუნისტების თვითგანათლების, მასობრივ-სააგიტაციო მუშაობის და კომკავშირისადმი ხელმძღვანელობის საკითხებს, გატაცებული არიან ნებაყოფლობითი ორგანიზაციების მუშაობის ანგარიშების მოსმენით, მაგრამ ესეც ფორმალურად კეთდება და არავითარი შედეგი არ მოაქვს.

პარტბიურომ არ იცის, როგორ განახორციელოს კონტროლის უფლება. იგი გამგეობის და საერთო კრების ფუნქციებს ითვისებს. პარტიულმა კრებამ ბრიგადირობიდან მოხსნა ნ. ფოფხაძე. ამაზე ოქმში ვკითხულობთ: „სმადის პ/პარტორგანიზაციის (!) № 2 ბრიგადის ბრიგადირი ნ. ფოფხაძე მოიხსნას ბრიგადირობიდან და მიეცეს გაფრთხილება, ვინაიდან მან ვერ გაართვა მუშაობას და ეთხოვოს საქ. კ. პ. (ბ) ადიგენის რაიკომის ბიუროს პარტწევრი ნიკოლა ფოფხაძეზე სასჯელის დადება".

აქედან აშკარად ჩანს, რომ პარტიულმა ორგანიზაციამ, მისმა ხელმძღვანელობამ არ იცის რა უნდა აკეთოს, როგორ უნდა იმუშაოს.

აღნიშნული ნაკლოვანებები არ იქნებოდა, პარტიის ადიგენის რაიკომის მუშაკები საჭირო დახმარებას რომ უწევდნენ პარტიული ორგანიზაციების მდივნებს.

ე. ხარებავა
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

ორდენებისა და მედლების გადაცემა

ცხაკაია. (საკ. კორ.). ქალაქის თეატრის შენობაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ბ. ლომიძემ ორდენები და მედლები გადასცა ქალაქ ფოთის, ცხაკაიას და გეგეჭკორის რაიონების მშრომელთა დიდ ჯგუფს, რომლებიც დაჯილდოებული არიან უმწიკვლო, ხანგრძლივი მუშაობისა და სოფლის მეურნეობაში მოპოვებული წარმატებებისათვის.

ლენინის ორდენს პირველი იღებს წარჩინებული ოსტატი მ. ბონდარენკო, შემდეგ კი ვ. ჟუკოვი, პ. მინოვსკი და სხვები. შრომის წითელი დროშის ორდენი გადაეცა 17 კაცს, მედლები — 27 კაცს.

ლენინის ორდენი და სოციალისტური შრომის გმირის ოქროს ვარსკვლავი ეძლევა გეგეჭკორის რაიონის ცნობილ მეჩაიეს ლენა ოდიშარიას. ლენინის ორდენი გადაეცა 3 კოლმეურნეს, შრომის წითელი დროშის ორდენი — 10 და მედლები — 36 კოლმეურნეს. სოციალისტური შრომის გმირის ჯილდოები მიიღეს ამავე რაიონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა მიხეილ მელუამ და მეურნეობის მთავარმა აგრონომმა ილარიონ გოგინავამ, რომლებმაც შარშან 100,2 ჰექტარ ჩაის პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე უზრუნველყვეს 4.007 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მიღება. ამ მეურნეობიდან ლენინის ორდენი მიიღო 6 კაცმა, შრომის წითელი დროშის ორდენი — 6, მედალი — 10 კაცმა.

შემდეგ ჯილდოები გადაეცათ ცხაკაიას რაიონის მშრომელებს. სოციალისტური შრომის გმირის სიგელი და ჯილდოები ეძლევათ სოფელ უშაფათის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებს თ. გოგინავას და ქ. ბოლაშვილს. თ. გოგინავამ პირობა დადო არ დაკმაყოფილდეს მიღწეულით, იბრძოლოს ჩაის ფოთლის უფრო უხვი მოსავლის მოსაყვანად. ორდენები მიიღო 8 კოლმეურნემ, მედლები 19 კოლმეურნემ.

ნამსახურობისათვის ჯილდოებს იღებენ ამავე რაიონის მედიცინის დარგის მუშაკები: იპოლიტე ჩხეტია, ნესტორ ბოკუჩავა, ვლადიმერ არჩაია, ქსენია ნაჭყებია, ეკატერინე ეჯიბია და სხვები. ჯილდოები გადაეცა აგრეთვე მოწინავე ექიმებს ჯ. კაკუბერს, ვლ. ჰიჭალუას, დ. თაყაიშვილს, ლ. ჩაჩიბაიას, ვ. კემულარიას, ალ. ქადარიას და სხვებს.

ჯილდოები მიიღეს ზოოვეტერინარული დარგის სპეციალისტებმა ცხაკაიას რაიონიდან — ძველი სენაკის მეღორეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ქ. კუჭავამ, სპეციალისტებმა ტ. კალანდარიშვილმა, ქ. ლომიამ და სხვებმა.

დასასრულ ამხ. ლომიძემ დაჯილდოებულთ მუშაობაში წარმატება უსურვა.

ახალი საცხოვრებელი სახლი

კასპი. (საკ. კორ.). დამთავრდა კირქვის კარიერის მუშა-მოსამსახურეებისათვის ახალი დიდი საცხოვრებელი სახლის აგება. ამას წინათ ამ ახალ სახლში, რომელსაც 16 კეთილმოწყობილი ბინა აქვს, უკვე შესახლეს მუშები.

ლენინის სახელობის ვოლხოვის ჰიდროელსადგურის ამუშავების 25 წლისთავი

ოცდახუთი წლის წინათ, 1926 წლის 19 დეკემბერს, ამუშავდა საბჭოთა კავშირში პირველი დიდი ჰიდროელექტროსადგური — ვოლხოვჰესი. ეს იყო პირველი გაბედული ნაბიჯი ქვეყნის ელექტროფიკაციის ლენინურ-სტალინური გეგმის განხორციელების გზაზე.

მდინარე ვოლხოვის ენერგიის გამოყენებაზე ძველი რუსეთის მრავალი მოწინავე ადამიანი ოცნებობდა. 1897 წელს პეტერბურგის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის მიზნით შედგენილ იქნა ვოლხოვის ჰიდროელსადგურის პირველი პროექტი. იგი შემუშავებული იყო ინჟინერ დობროტვორსკის მიერ, მაგრამ ამ პროექტის განხორციელება არ ეწერა. 1910 წელს ინჟინერმა გ. ო. გრაფტიომ დაამუშავა მდინარე ვოლხოვზე ძალოვანი დანადგარისა და კაშხალის საესკიზო პროექტი. მის განხორციელებას დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ საქციო საზოგადოებანი, რომელთაც პეტროგრადში ორთქლის სადგურები ეკუთვნოდათ. 1917 წელს დროებითი მთავრობა შეეცადა ვოლხოვის ენერგიის გამოყენებას, მაგრამ არსებითად სამშენებლო სამუშაოთა დაწყებაც კი ვერ შეძლო.

მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ გახდა შესაძლებელი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეების, მათ შორის ვოლხოვის ენერგიის გამოყენებაც მშრომელთა საკეთილდღეოდ. 1918 წელს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი პირადად დაინტერესდა ვოლხოვის საკითხით, რისთვისაც გულდასმით გაეცნო გ. ო. გრაფტიოს მიერ შედგენილ პროექტს. ვ. ი. ლენინმა საჭიროდ ცნო ინჟინერ გ. ო. გრაფტიოს პროექტის დაჩქარებით განხორციელება. მისი მითითებით შეიქმნა სპეციალური სამმართველო მდინარე ვოლხოვზე სამშენებლო სამუშაოთა საწარმოებლად.

საბჭოთა მთავრობამ 1921 წელს მიიღო დადგენილება ვოლხოვჰესის აგების დაჩქარების შესახებ, ამასთან მშენებლობის სათავეში დაყენებულ იქნა თვით პროექტის ავტორი — ინჟინერი, შემდეგში აკადემიკოსი გ. ო. გრაფტიო.

ვოლხოვჰესი ლენინის და სტალინის მიერ შემუშავებულ ელექტროფიკაციის გეგმაში შევიდა როგორც მისი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1921 წლის 21 დეკემბრის დეკრეტით ვოლხოვის ჰიდროელსადგური შეყვანილ იქნა იმ შვიდი დიდი სადგურის ჯგუფში, რომელთა მშენებლობაც პირველ რიგში უნდა განხორციელებულიყო.

ლენინის მითითებით 1921 წლის ზაფხულიდან ვოლხოვჰესზე ფართოდ გაიშალა სამშენებლო სამუშაოები. იმ დროისათვის მეტად მოკლე ვადაში, როცა ქვეყანას არ გააჩნდა არც საკმაო რესურსები, არც დიდ ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობის პრაქტიკა და არც მაღალკვალიფიციური კადრები, მშენებელთა უმაგალითო შრომითი ენთუზიაზმის შედეგად 1926 წლის შემოდგომისათვის ამუშავებულ იქნა ვოლხოვჰესის პირველი ტურბოგენერატორი 10 ათასი ცხენის ძალის სიმძლავრისა, ხოლო 1926 წლის 19 დეკემბერს მოხდა ელექტროსადგურის საზეიმო გახსნა. საბჭოთა ხალხმა უდიდესი სიხარულითა და კანონიერი სიამაყის გრძნობით აღნიშნა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ლენინურ-სტალინური პოლიტიკის პირველი დიდი გამარჯვება. 1927 წლის ზაფხულამდე დამატებით ამუშავებულ იქნა კიდევ 7 ტურბოგენერატორი.

ვოლხოვჰესით, რომელსაც დიდი ლენინის სახელი მიეკუთვნა, დაიწყო სოციალისტური ჰიდროენერგეტიკის მძლავრი და განუხრელი აღმავლობა. ეს იყო პირველი დიდი ჰიდროელსადგური, რომელიც სსრ კავშირის ტერიტორიაზე აშენდა. ამის შემდეგ საბჭოთა ხალხმა განახორციელა ისეთი დიდი ელექტროსადგურების მშენებლობა, როგორიც არის სვირჰესი, ზაჰესი, ევროპაში უდიდესი ელექტროსადგური დნეპრჰესი და მრავალი სხვა.

ვოლხოვჰესმა უდიდესი როლი შეასრულა ლენინგრადის მრეწველობის განვითარებაში. თავისი არსებობის 25 წლის მანძილზე სადგურმა ჩვენს საბჭოთა სამშობლოს მისცა მილიარდობით კილოვატსაათი ელექტროენერგია. მას მუშაობა არ შეუწყვეტია ლენინგრადისათვის სამამულო ომის ყველაზე მძიმე დღეებშიც კი და განუწყვეტლივ აწვდიდა ელექტროენერგიას გმირ ქალაქს.

ომისშემდგომ პერიოდში სსრ კავშირში ფართოდ გაიშალა უდიდესი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა, უმაგალითოდ გაიზარდა ელექტროენერგიის გამომუშავება, აღიზარდნენ და დაწინაურდნენ ენერგეტიკოსთა შესანიშნავი კადრები. ომამდელ დონესთან შედარებით ელექტროენერგიის გამომუშავება სსრ კავშირში 1950 წელს 87 პროცენტით გაიზარდა. საბჭოთა კავშირს ელექტროენერგიის წარმოების ზრდის ტემპებით პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, მთელი საბჭოთა ხალხის აქტიური მონაწილეობით ვოლგაზე, დნეპრსა და ამუდარიაზე შენდება მსოფლიოში უდიდესი ჰიდროელექტროსადგურები, რომლებიც წელიწადში დაახლოებით 22 მილიარდ კილოვატსაათ ელექტროენერგიას მოგვცემენ. ამ გიგანტურ ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა აშენების შემდეგ საბჭოთა კავშირი დიდად გაუსწრებს მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ელექტროფიკაციის მხრივ.

ლენინის სახელობის ვოლხოვჰესის ამუშავების 25 წლისთავი ნათლად გვიჩვენებს, თუ რა გიგანტური ნაბიჯებით ვითარდება და მიდის წინ სოციალისტური ჰიდროენერგეტიკა. საბჭოთა ხალხი ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით ახორციელებს დიდი სტალინის მითითებას იმის შესახებ, რომ „კომუნიზმისაკენ წინსვლისათვის საბჭოთა ხელისუფლებამ უნდა მოახდინოს ქვეყნის ელექტროფიკაცია, გადაიყვანოს მთელი სახალხო მეურნეობა მსხვილ წარმოებაზე".

ვ. შავგულიძე

კონსულტაცია

გავაძლიეროთ ბრძოლა ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების აღმოფხვრისათვის

სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის პერიოდში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მშრომელთა მასების კომუნისტურად აღზრდას.

სრული კომუნისტური საზოგადოება გულისხმობს როგორც მაღალგანვითარებულ საწარმოო ძალებს, ისე ადამიანთა მაღალ კულტურულ დონეს და კომუნისტურ შეგნებულობას. სწორედ ამით აიხსნება, რომ ბოლშევიკური პარტია ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნასთან ერთად თვით ადამიანთა სულიერ მომზადებას საზოგადოებრივი ურთიერთობის უფრო მაღალ, კომუნისტურ ფორმაზე გადასვლისათვის.

კომუნიზმის პირველი ფაზიდან მის უმაღლეს ფაზაში გადასვლისათვის, აუცილებელია სავსებით და საბოლოოდ აღმოიფხვრას ადამიანთა შეგნებაში ძველი წყობილების ყოველგვარი ნაშთი, გადაჭრით ამაღლდეს კომუნიზმის მშენებელ ადამიანთა კულტურულობისა და შეგნებულობის დონე. მშრომელთა მაღალი კულტურა და შეგნება კომუნისტურ საზოგადოებაში გადასვლის უზრუნველყოფის, მისი დაჩქარების უმძლავრესი საშუალებაა. ცნობილია, რომ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმი შენდება არა სტიქიურად, არა თვითდინებით, არამედ გეგმიანად, მრავალმილიონიანი მშრომელი მასების აქტიური და შეგნებული მოქმედების საფუძველზე. ამიტომ მასების მაღალი შეგნებულობა უდიდეს მატერიალურ ძალას, საწარმოო ძალების სწრაფი განვითარების უმძლავრეს ფაქტორს წარმოადგენს.

ჩვენ მოვსპეთ კაპიტალიზმი თავისი ბაზისითა და ზედნაშენით, ავაშენეთ სრულიად ახალი სოციალისტური ბაზისი და მისი შესაბამისი ახალი ზედნაშენი. ამ გარდაქმნათა შედეგად არსებითად შეიცვალა საბჭოთა საზოგადოების განვითარების კანონები. ჩვენი საზოგადოების საფუძველს წარმოადგენს მეურნეობის სოციალისტური სისტემა და საწარმოო საშუალებათა და იარაღთა სოციალისტური საკუთრება. ადამიანთა წარმოებითი ურთიერთობანი ჩვენს ქვეყანაში „ხასიათდება, როგორც ექსპლოატაციისაგან თავისუფალი მუშაკების ამხანაგური თანამშრომლობისა და სოციალისტური ურთიერთდახმარების ურთიერთობანი"[1]. სოციალიზმის გამარჯვების შედეგად ჩვენს ქვეყანაში წარმოიშვა და განვითარდა ისეთი მძლავრი მამოძრავებელი ძალები, როგორიცაა: საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, ხალხთა ურღვევი მეგობრობა და საბჭოთა პატრიოტიზმი.

მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების ასეთმა რევოლუციურმა გარდაქმნამ ღრმა ცვლილება გამოიწვია ადამიანთა შეგნებაში. სოციალიზმის მშენებლობის პროცესში, ახალი საზოგადოებრივი ყოფიერების საფუძველზე ჩამოყალიბდა ადამიანთა ახალი, სოციალისტური შეგნება. სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის პროცესში გამოიჭედა საბჭოთა ადამიანის ახალი მორალური სახე.

ბოლშევიკების პარტიამ შეაიარაღა საბჭოთა ხალხი მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობით, ჩაუნერგა მას შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულება, საზოგადოებრივი საკუთრების დაცვისა და გამრავლებისათვის ზრუნვა, ყოველი საქმისადმი სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით მიდგომა, სოციალისტური თანაცხოვრების წესებისადმი პატივისცემა, კომუნისტური მორალის ნორმები პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

სსრ კავშირის მშრომელთა დიდი უმრავლესობა კომუნიზმის აქტიური და შეგნებული მშენებელია. მაგრამ ამავე დროს ცნობილია, რომ მშრომელთა ერთი ნაწილის შეგნებაში ჯერ კიდევ არსებობს კაპიტალიზმის ნაშთები. კაპიტალიზმის ნაშთები ადამიანთა შეგნებაში — ეს არის ადამიანთა ის შეხედულებანი, ჩვეულებანი და ყოფაქცევის ნორმები საზოგადოებრივ საქმიანობასა და ოჯახურ ურთიერთობაში, რომლებსაც არავითარი საფუძველი არა აქვთ ჩვენს საზოგადოებაში, ახალ სოციალისტურ წარმოებით ურთიერთობაში და რომლებიც დარჩენილია ჩვენს ქვეყანაში უკვე ლიკვიდირებული კაპიტალიზმისაგან. სწორედ ამიტომ ეწოდება მათ „ნაშთები". მათი შინაარსი სრულიად უცხო და შეუფერებელია ჩვენი საბჭოთა საზოგადოებისა და იდეოლოგიისათვის.

რით აიხსნება საბჭოთა ადამიანების ნაწილის შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების არსებობა?

ჯერ-ერთი იმით, რომ „ადამიანთა შეგნება თავის განვითარებაში ჩამორჩება მათს ეკონომიურ მდგომარეობას"[2].

მეორეც იმით, რომ „ჯერ კიდევ არსებობს კაპიტალისტური გარემოცვა, რომელიც ცდილობს გააცოცხლოს და მხარი დაუჭიროს კაპიტალიზმის ნაშთებს სსრ კავშირის ეკონომიკასა და ადამიანთა შეგნებაში"[3].

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ საზოგადოებრივ ცნობიერებას განსაზღვრავს საზოგადოებრივი ყოფიერება, ადამიანთა მატერიალური ცხოვრების პირობები. საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობების შეცვლა იწვევს საზოგადოებრივი ცნობიერების ცვლილებებს, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ საზოგადოებრივი ყოფიერების შეცვლასთან ერთად მაშინვე, ავტომატურად იცვლება ადამიანთა ცნობიერებაც. ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ **„ჯერ** ეკონომიური პირობები იცვლება და **მერე** შესაფერისად იცვლება ადამიანების შეგნება"[4]. ამრიგად, შეგნების ცვლილების პროცესი ჩამორჩება საზოგადოებრივი ყოფიერების ცვლილების პროცესს. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ გარკვეული დროის განმავლობაში განაგრძობენ არსებობას კაპიტალიზმის მიერ წარმოშობილ შეხედულებათა და წარმოდგენათა, ჩვეულებათა და ცრურწმენათა ნაშთები, თუმცა კაპიტალიზმი ჩვენს ქვეყანაში დიდი ხანია მოსპობილია.

ლენინი და სტალინი მრავალგზის მიგვითითებენ, რომ ძველ ჩვეულებათა და ტრადიციათა ძალა ძლიერი და საშიში ძალაა, რომ მშრომელ მასებს არ შეუძლიათ ერთბაშად განთავისუფლდნენ ძველ ჩვეულებათა ნაშთებისაგან, რომ ამისათვის საჭიროა ხანგრძლივი და დაძაბული, მასობრივ-აღმზრდელობითი მუშაობა.

ჯერ კიდევ კ. მარქსი აღნიშნავდა, რომ სოციალიზმი კომუნიზმის პირველი, დაბალი საფეხურია და რომ „ჩვენ აქ საქმე გვაქვს არა ისეთ კომუნისტურ საზოგადოებასთან, რომელიც თავის საკუთარ საფუძველზე **განვითარდა**, არამედ, პირიქით, ისეთთან, რომელიც ეს არის ახლა **გამოდის** კაპიტალისტური საზოგადოებიდან; ამიტომ მას ყოველმხრივ, — ეკონომიურად, ზნეობრივად, გონებრივად, ჯერ კიდევ დაღი აჩნევს ძველი საზოგადოებისა, რომლის წიაღიდანაც ის გამოვიდა"[5].

ამასთან ერთად, როგორც ვთქვით, მხედველობაში უნდა მივიღოთ კაპიტალისტური გარემოცვის არსებობა. ჩვენს ქვეყანაში ექსპლოატატორული კლასების მოსპობის შედეგად საერთაშორისო ბურჟუაზიამ დაკარგა თავისი დასაყრდენი სსრ კავშირის შიგნით საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ამიტომ იმპერიალისტური ქვეყნები, უპირველეს ყოვლისა ამერიკისა და ინგლისის იმპერიალისტები, ყოველნაირად ცდილობენ საბჭოთა ადამიანების ერთ ნაწილში არსებული კაპიტალიზმის ნაშთები გამოიყენონ იმისათვის, რომ შეაფერხონ საბჭოთა საზოგადოების წინსვლა, ხელი შეუშალონ კომუნიზმის მშენებლობას, შეასუსტონ საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერება. ამერიკისა და ინგლისის იმპერიალისტები არაფერს არ იშურებენ იმისათვის, რომ შემოგზავნონ ჩვენს ქვეყანაში ჯაშუშები, დივერსანტები. ამის ახალ დადასტურებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მიმდინარე წლის 10 ოქტომბერს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ტრუმენმა ხელი მოაწერა კანონს, რომელიც ითვალისწინებს საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ ძირგამომთხრელი და დივერსიული საქმიანობისათვის 100 მილიონი დოლარის ასიგნებას. იმპერიალისტური ქვეყნების დაზვერვა თავის ობიექტად იხდის სწორედ ისეთ ადამიანებს, რომლებშიც ძლიერია კაპიტალიზმის ნაშთები და ამიტომ არამტკიცე და მერყევნი არიან.

კაპიტალიზმის ნაშთების არსებობა ადამიანთა შეგნებაში ხელს უშლის ჩვენს წარმატებებს, აბრკოლებს კომუნიზმისაკენ წინსვლას. იშვიათი როდია, როცა ეს ნაშთები დანაშაულებრივ ფორმებში ვლინდებიან და პირდაპირ ზიანს აყენებენ ჩვენს სახელმწიფოს, მთელს საბჭოთა ხალხს. „ძველი ჩვევები და ჩვეულებანი, ტრადიციები და ცრურწმენანი, რაც მემკვიდრეობით მიღებულია ძველი საზოგადოებისაგან, სოციალიზმის უაღრესად საშიშ მტრის წარმოადგენენ"[6], — გვასწავლის ამხანაგი სტალინი.

ბოლშევიკურმა პარტიამ საბჭოთა ადამიანებში აღზარდა შრომისადმი ახალი, სოციალისტური დამოკიდებულება. ჩვენი საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობა კეთილსინდისიერად და პატიოსნად ეწევა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, მუდამ ცდილობს იმუშაოს უკეთესად და უფრო ნაყოფიერად. შრომა ჩვენს ქვეყანაში არა მარტო არსებობის საშუალებაა, არამედ იგი გადაქცეულია სახელის, დიდების, სიმამაცისა და გმირობის საქმედ. მაგრამ არიან ჩამორჩენილი ადამიანები, რომლებსაც ჯერ კიდევ შერჩენიათ ძველი შეხედულება შრომაზე. ჯერ კიდევ არის შრომისათვის თავის არიდების, შრომის დისციპლინის დარღვევის, სამუშაოს გაცდენის შემთხვევები; ზოგიერთი ადამიანი მიისწრაფვის რაც შეიძლება ნაკლები მისცეს საზოგადოებას, ხოლო წაგლიჯოს მას რაც შეიძლება მეტი. დაწესებულებებში არიან მუშაკები, რომლებიც არაკეთილსინდისიერად ეკიდებიან სახელმწიფოებრივ მოვალეობას, ხალტურულად ასრულებენ სამუშაოს. კოლმეურნეთა ერთ ნაწილში ჯერ კიდევ საგრძნობია ტენდენცია თავი აარიდონ საზოგადოებრივ მეურნეობაში მუშაობას, პირადი ინტერესები დააყენონ საერთო ინტერესებზე მაღლა. ყოველივე ამას დიდი ზიანი მოაქვს საბჭოთა სახელმწიფოსათვის, მთელი საზოგადოებისათვის.

ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ინტერესები, მთელი საბჭოთა ხალხის ინტერესები მოითხოვენ გავაძლიეროთ ბრძოლა კაპიტალიზმის ნაშთების წინააღმდეგ შრომისადმი დამოკიდებულებაში. ეფექტიანად უნდა გამოვიყენოთ საზოგადოებრივი ზეგავლენის ყველა ზომები, რათა ყოველ მოქალაქეს ჩავუნერგოთ იმის გაგება, რომ შრომა ჩვენს ქვეყანაში წარმოადგენს პირადი და საზოგადოებრივი კეთილდღეობის წყაროს, რომ თვითეული მშრომელი ერთი დიდი შრომითი კოლექტივის განუყრელი წევრია და სტალინური კონსტიტუციით მისთვის მინიჭებული თავისუფალი და შემოქმედებითი შრომის დიადი უფლება ავალებს მას იმუშაოს პატიოსნად, მთელი თავისი უნარისა და ძალის მიხედვით.

მაგრამ ახალი, კომუნისტური შრომის დისციპლინისათვის ბრძოლა მარტო აღმზრდელობითი ღონისძიებებით როდი ამოიწურება.

ვ. ი. ლენინი არაერთხელ მიგვითითებდა ახალი დისციპლინის აღზრდის საქმეში იძულების აუცილებლობაზე. იგი მოითხოვდა სასტიკი ზომების მიღებას ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც არღვევს საერთო დისციპლინას, დეზორგანიზაციას შეაქვს წარმოებაში, ვინც თავს იძვრენს მუშაობისაგან, ცდილობს არ იმუშაოს, ან იმუშაოს ცოტა, მაგრამ მიიღოს ბევრი, ე. ი. იცხოვროს სხვისი შრომის ხარჯზე.

საბჭოთა კანონები მთელი სიძლიერით იცავენ პატიოსან მუშაკებს, მაგრამ ასევე მთელი სიძლიერით მიმართულია ცუღლუტების, მუქთახორების, წამგლეჯების, ფრენიების წინააღმდეგ. სოციალისტური შრომა და დისციპლინა ჩვენში უშუალოდ საზოგადოებრივი საქმეა, ამიტომ მისი დარღვევა დანაშაულებრივი მოქმედებაა. დანაშაული კი ისჯება კანონით. საბჭოთა სასამართლოები მოწოდებული არიან განუხრელად დაიცვან და ცხოვრებაში გაატარონ საბჭოთა კანონები. საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს უნდა ახსოვდეთ დიდი ლენინის სიტყვები იმის შესახებ, რომ „დამნაშავეა ყველა, ვინც არღვევს შრომის დისციპლინას, რომელ მეურნეობაშიც, რა საქმეშიც უნდა ხდებო-

[1] ი. ბ. სტალინი. საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი. გვ. 157.

[2] ი. ბ. სტალინი. ლენინიზმის საკითხები. მე-11 გამოც. გვ. 589.

[3] იქვე. გვ. 589.

[4] ი. ბ. სტალინი. თხზ., ტ. I, გვ. 300.

[5] კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები. ტ. II, გვ. 16.

[6] ი. ბ. სტალინი. თხზ., ტ. 6, გვ. 283.

სამილე ძელების საამქროს მოწინავენი

მაღალთაღიანი საამქროდან ორთქლმავალს გამოაქვს ფოლადის მილების დასამზადებლად საჭირო მასალით დატვირთული ღია ვაგონები. საამქროს მზა პროდუქციის განყოფილებაში კი, რომელსაც კარგა მოზრდილი ფართობი უჭირავს, უხვად აწყვია ქართული ფოლადის სამილე ძელები.

— წინა ცვლებს კარგად უმუშავნიათ, ახლა რიგი ჩვენზეა! — ეუბნება მგლინავებს საამქროს ცვლის უფროსი ნიკოლოზ ჭანტურიძე და თვითეულ მათგანს კონკრეტულ მითითებას აძლევს, შეთანხმებული მუშაობისაკენ მოუწოდებს.

ახალი ცვლა მუშაობას შეუდგა...

ბლუმინგის საამქროში დამზადებული სამტონიანი სამილე ბლუმსები მექანიკურად თავსდება ეგრეთწოდებულ მეთოდურ ღუმელში, სადაც ისინი გარკვეულ ტემპერატურამდე ხურდება. შემდეგ, სანამ სამილე ძელად იქცეოდეს, გავარვარებულმა ფოლადის ზოდმა სახეცვლილებათა გრძელი გზა უნდა განვლოს. ყველაზე რთული სამუშაო კი იმ ვაზტზე სრულდება, რომლიდანაც ოპერატორები დამწნებ ლილვებიან საგლინავ დაზგასა და მანიპულატორებს მართავენ. აქ ცვლის უფროს ოპერატორად ვლადიმერ კერვალიძე მუშაობს, მეორე ოპერატორი კი ავთანდილ ჯაჯანიძეა.

ვლადიმერ კერვალიძეს აქ შემოსვლისას ყოველთვის ისეთი განცდა იპყრობს, თითქოს ბავშვობიდანვე ამ საამქროში იყოს გაზრდილი. მას განუზომლად უყვარს მშობლიური საამქრო და მისი ერთსულოვანი კოლექტივი. ვ. კერვალიძეს ქალაქ ჟდანოვის მეტალურგიულ ქარხანაში ოპერატორის პროფესიის შესასწავლად რომ გზავნიდნენ, მაშინ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სამილე ძელების საამქროს კორპუსისათვის რკინის არმატურის ჩონჩხის მონტაჟიც კი არ იყო დასრულებული. დიდი იყო მისი სიხარული, როცა რუსთავში დაბრუნებისას სამილე ძელების საამქრო ძირითადად დამთავრებული დახვდა.

მაგრამ ვლადიმერ კერვალიძეს ისეთი სიხარული არასოდეს არ განუცდია, როგორიც სამილე ძელების ახალი საამქროს ექსპლოატაციაში გაშვების დღეს განიცადა. მას და ავთანდილ ჯაჯანიძეს უდიდესი ბედნიერება ხვდათ წილად: — იმ დღეს მთავარი ვაზტის მართვა მათ მიანდეს. საამქროს ამუშავების მოლოდინში ასობით მეტალურგმა მოიყარა თავი. ოპერატორებმა სასახელოდ შეასრულეს დაკისრებული საქმე და ქართული ფოლადიდან ამ დღეს პირველად მიიღეს სამილე ძელების პირველი პროდუქცია.

მას შემდეგ საკმაო დრომ განვლო. ოპერატორები უფრო მეტად დაოსტატდნენ, უფრო მეტად შეეთვისნენ ერთმანეთს, ახალ მექანიზმებს. ბლუმსის გაგლინვის მრავალფეროვანი პროცესისათვის საჭირო დროს ისე რაციონალურად იყენებენ, რომ არც ერთი წუთი უნაყოფოდ არ ეკარგებათ. უკანასკნელ ხანს ოპერატორები სარეკორდო მაჩვენებლებს აღწევენ: თვითეულ ბლუმსს ოთხი-ხუთი წუთის ნაცვლად ერთ წუთში გლინავენ. მაღალნაყოფიერი მუშაობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ცვლის საუკეთესო შემდუღებელი იოსებ მალალაშვილი ყოველთვის სათანადო ტემპერატურამდე გახურებულ ბლუმსებს აწვდის მათ.

ამას წინათ ვლადიმერ კერვალიძემ ქალაქ ჟდანოვის მეტალურგიული ქარხნიდან წერილი მიიღო. ყოფილი მასწავლებელი, საბჭოთა კავშირის გმირი, უფროსი ოპერატორი ვლადიმერ კურილოვი იტყობინებოდა, რომ ის საამქრო, სადაც ვ. კერვალიძემ ოპერატორობა შეისწავლა, კვლავ პირველ ადგილზეა და ამ დღეებში ქარხნის გარდამავალი წითელი დროშა გადაეცა. ახალგაზრდა ქართველი ოპერატორები ცდილობენ თვითონაც არ ჩამორჩნენ რუს თანამოსაქმეებს და მაღალნაყოფიერად იმუშაონ სამშობლოს საკეთილდღეოდ.

* * *

საამქროში თანდათან ძლიერდება შრომის ტემპი.

ალისფრად გალვივებული ფოლადის ოთხკუთხოვანი ბლუმსი დამწნები ლილვებიდან გამოსვლის შემდეგ უფრო გრძელდება, მრავალკუთხოვან ზოდად იქცევა და მბრუნავი როლგანგების დახმარებით გზას მიიკვლევს მეორე საგლინავი დაზგისაკენ, რომელსაც სტალინგრადის მეტალურგიულ ქარხანაში დაოსტატებული მგლინავები როსამან რიყამაძე, შოთა დათუკიშვილი და ვლგუჯა მეტრეველი მართავენ. აქ ფოლადის ბლუმსი ლილვებს შუა სწრაფად გასრიალდება და მრავალკუთხოვანი ზოდი მრგვალ ფორმას მიიღებს. მგლინავთა მოვალეობაა ფოლადის ზოდს პროფილი ისეთი სიზუსტით შეურჩიონ, რომ სწორედ დაკვეთილი დიამეტრის სამილე ძელები მიიღონ. მგლინავები გასაოცარი ოსტატობით ასრულებენ ამ საქმეს.

ჩაზნექილ მბრუნავ როლგანგებზე კონვეიერის გაყოლებით სამილე ძელი განაგრძობს გზას და უახლოვდება ვეებერთელა ელექტროხერხებს. აქ ფოლადის ზოდი იმის მიხედვით იჭრება, თუ რა სიგრძის მილები უნდა დამზადდეს. ლითონის მჭრელები ბეჯითად ასრულებენ თავიანთ საქმეს. მათ შორის ყველაზე უკეთესად სამსონ ბენდელიანი მუშაობს.

აქედან სამილე ძელები სათანადო მექანიზმების შემწეობით ეგრეთწოდებულ მაცივარში იგზავნება, გაცივების შემდეგ კი ამწევებს შემდგომი გადამუშავებისათვის გადააქვთ ლითონის ამომკვეთლებთან, რომლებიც ბოლო ხანს ნოვატორების ვასილ იმნაძის, ტარიელ ლაბაძისა და რომან დოლინსკის ახალი მეთოდით მუშაობენ. ამის შედეგად ისინი ახლა ერთისამად უფრო სწრაფად ათავისუფლებენ სამილე ძელის ზედაპირს დეფექტებისაგან.

რაც უფრო ნაკლები დრო რჩება სამუშაო საათების დამთავრებამდე, მით უფრო მატულობს მგლინავთა შრომითი პათოსი. როლგანგებზე დაუსრულებლად მოცურავს მაღალხარისხოვანი ფოლადის სამილე ძელი და აი სამუშაო დღეც მთავრდება. სამართავი ვაზტები ერთმანეთს ატყობინებენ სასიხარულო ცნობას: ცვლამ საგეგმო დავალება 165 პროცენტით შეასრულა!..

ასეთია ამხ. ნ. ჭანტურიძის ცვლის მუშაობის ერთი დღე, შრომითი სიხარულისა და ახალ წარმატებათა დღე!.. ცვლის კოლექტივი წარმატებით მუშაობდა ნოემბერში, უკეთესად მუშაობს დეკემბერშიც.

გ. გელაშვილი
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

სამრეწველო კომბინატმა მუშაობა გააუმჯობესა

ქედა. (საქ. კორ.). წლების განმავლობაში ქედის სამრეწველო კომბინატი სუსტად მუშაობდა, საწარმოო გეგმებს ვერ ასრულებდა.

ამ უკანასკნელ დროს სამრეწველო კომბინატმა (დირექტორი ხ. გორგილაძე) მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მუშაობა და საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულა მიმდინარე წლის გეგმა.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საქონლის ასორტიმენტის გაფართოებას და გამოშვებული პროდუქციის ხარისხს. გაფართოვდა კრამიტის საამქრო, გადიდდა მისი სიმძლავრე, მოეწყო ლიმონათის წარმოება, სამკერვალო და ფეხსაცმლის სახელოსნოები, სამჭედლო საამქრო და სხვ., გაფართოვდა ღვინის საამქრო, რომელმაც წელს 79,3 ტონა ყურძენი გადაამუშავა.

კომბინატმა 11 თვეში 810 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა, რაც მნიშვნელოვნად სჭარბობს წლიურ დავალებას. განსაკუთრებით ნაყოფიერად იმუშავეს ღვინის, ლიმონათის და კრამიტის საამქროებმა. სტახანოვური შრომით გამოირჩევიან აგურ-კრამიტის საამქროს მუშები ს. თებიძე და ხ. ფახტნაძე.

მომავალ წელს საავეჯო საამქროს გააფართოებენ.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

სოფლკორის სიგნალი დადასტურდა

— ტყიბულის რაიონის სოფელ დაბაძველის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობა უდარდელობას იჩენს საკოლმეურნეო ქონების დაცვის საქმეში. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ი. გვენეტაძემ სპეკულანტს ვინმე ნ. ქარქაშაძეს გადიდებულ ფასად კოლმეურნეობისათვის შეაძენინა სოია და ხელი მოათბობინა. მოანგარიშე ა. გვენეტაძემ ურთიერთდამხმარე სალაროდან თანხები მიითვისა,—გვწერდა სოფლკორი ტყიბულის რაიონიდან.

წერილი შეამოწმა კომუნისტის საკუთარმა კორესპონდენტმა პარტიის ტყიბულის რაიკომის წარმომადგენელთან ერთად. ფაქტები დადასტურდა. საკითხი ამას წინათ განიხილა საქართველოს კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომის ბიურომ, რომელმაც სოფელ დაბაძველის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეს ი. გვენეტაძეს და რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროს ინსპექტორ-ბუხჰალტერს ვლადიმერ ჯაშიაშვილს—საყვედური გამოუცხადა. დაბაძველის კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარე გრიგოლ წერეთელი საკოლმეურნეო მიწისა და თანხების უკანონოდ გამოყენებისათვის ერთი წლის ვადით გადაყვანილია საკავშირო კ. პ. (ბ) წევრობიდან კანდიდატად, მასვე დაეკისრა დაუბრუნოს კოლმეურნეობას 3.665 მანეთი.

რაიკომის ბიურომ დასახა ღონისძიებანი კოლმეურნეობის განმტკიცებისათვის.

რატომ დაამახინჯეს სოციალისტური შეჯიბრების პრინციპი?

„კომუნისტის" მკითხველებს ახსოვთ სოციალისტური შრომის გმირთა რგოლების შეჯიბრება, რომელიც მიმდინარე წლის დასაწყისში გაჩაღდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რესპუბლიკური თათბირის მიმართვის საპასუხოდ. შეჯიბრებაში ჩაბმისას ლანჩხუთის რაიონის სოფელ აცანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ენერგიულმა სოციალისტური შრომის გმირმა შურა ჩხაიძემ ვალდებულება იკისრა მისთვის მოსავლელად მიჩენილ 0,5 ჰექტარზე მოეკრიფა 10.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ხოლო რგოლის წევრებმა ევროსი, ვარვარა, ლოლა ჩხაიძეებმა, ლამარა ურატაძემ და ანა ჯიჯიეიშვილმა იკისრეს — თვითეულს 0,5 ჰექტარ ჩაის პლანტაციაში მოეკრიფა 7.500 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. სულ რგოლს ვალდებულებით 3 ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან უნდა მოეკრიფა 47.500 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

ჩხაიძემ და მისმა რგოლის წევრებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ის რგოლი, რომელსაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი სოციალისტური შრომის გმირი დარეჯან ტაკიძე ხელმძღვანელობს.

დ. ტაკიძე და მისმა რგოლის წევრებმა სიხარულით მიიღეს ლანჩხუთელ მეჩაიეთა გამოწვევა. ასე გაჩაღდა გმირთა რგოლების შეჯიბრება. აპრილსა და მაისში ჩაის კრეფაში დაწინაურდა შურა ჩხაიძე და მისი რგოლი.

ამ მდგომარეობამ ნატანებელი მეჩაიეები სერიოზულად ჩააფიქრა. მათ მთელი რიგი დამატებითი ღონისძიებანი განახორციელეს ჩაის პლანტაციებში და საქმეც წინ წასწიეს. ივლისის შედეგების მიხედვით დაწინაურდნენ დარეჯან ტაკიძისა და მისი რგოლის წევრები.

დამთავრდა ჩაის ფოთლის კრეფის სეზონი. ამ დღეებში შეჯიბრების შედეგების გამორკვევისას ერთი მეტად არასასიამოვნო ფაქტი გამოვლინდა. ცნობილია, რომ რგოლები იქმნებიან საწარმოო ბრიგადების შიგნით. მაგრამ ის, რასაც აცანელი ამხანაგები შურა ჩხაიძის რგოლად ასაღებდნენ, ამ პრინციპის მიხედვით როდია შექმნილი. ამ ეგრეთწოდებული რგოლის შემადგენლობა ასეთია: მერგოლური შ. ჩხაიძე და რგოლის წევრი ანა ჯიჯიეიშვილი მეოთხე ბრიგადის მეოთხე რგოლის წევრებად ითვლებიან და იქ აქვთ ჩაის ნაკვეთები მოსავლელად მიჩენილი; ევროსი ჩხაიძეს და ლამარა ურატაძეს მეხუთე ბრიგადის მეოთხე რგოლში აქვთ ნაკვეთი მიჩენილი, ვარვარა ჩხაიძე ამავე ბრიგადის მესამე რგოლში მუშაობს, ხოლო ლოლა ჩხაიძე მესამე ბრიგადის მეოთხე რგოლშია. უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა მათგანს მოსავლელად მიჩენილი აქვს ჩაის ისეთი ნაკვეთები, რომლებიც ყველაზე უკეთესია კოლმეურნეობაში. რგოლების დაკომპლექტების ასეთი წესი მიუღებელია.

აცანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას უმაღლესი აგრონომიული განათლების მქონე ამხ. რომან მგელაძე ხელმძღვანელობს. მან არ შეიძლება არ იცოდეს, თუ როგორ უნდა მოეწყოს ბრიგადა და რგოლი კოლმეურნეობაში. მაშ რაშია საქმე? რატომ შექმნეს აცანაში ასეთი ფიქტიური რგოლი? იმისათვის ხომ არა, რომ ხელოვნურად გაბერილი მონაცემებით შექმნათ არასწორი წარმოდგენა მიღწეულ „დიდ წარმატებებზე".

ჩვენი აზრით, ყოველივე ეს არ შეიძლება ცნობილი არ ყოფილიყო ლანჩხუთის რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილებისათვის.

ვფიქრობთ, ამ საკითხის ირგვლივ თავის აზრს გამოთქვამს საქართველოს კ. პ. (ბ) ლანჩხუთის რაიკომი.

ჩაის ფოთლის კრეფის მიმდინარე სეზონის შედეგები მოწმობენ, რომ სოციალისტური შრომის გმირი ამხ. შ. ჩხაიძე ენერგიის დაუზოგავად იბრძოდა ჩაის ფოთლის უხვი მოსავლის მოსაყვანად და კარგ შედეგებსაც მიაღწია, მოსავლელად მიჩენილ 0,5 ჰექტარ პლანტაციაში მოიყვანა 9.522,4 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ამ მოწინავე მეჩაიეს ზოგიერთმა ამხანაგმა სრულიად უმიზნოდ, გაუმართლებლად მოახვია თავს არარსებული რგოლის ხელმძღვანელობა.

როგორია ამ „რგოლის" სხვა წევრთა წარმატებანი? ევროსი ჩხაიძემ მისთვის მოსავლელად მიჩენილ 0,5 ჰექტარ ჩაის პლანტაციაში მიიღო 5.841,8 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ვარვარა ჩხაიძემ — 3.505, ლოლა ჩხაიძემ—5.214,9, ლამარა ურატაძემ — 4.614,4, ანა ჯიჯიეიშვილმა —3.619,1 კილოგრამი. ყველა მათგანმა კი 3 ჰექტარ ჩაის პლანტაციაში მოკრიფა — 36.311,9 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

როგორია დარეჯან ტაკიძისა და მისი რგოლის მაჩვენებელი? ტაკიძემ მოსავლელად მიჩენილ 0,5 ჰექტარ ჩაის პლანტაციაში ვალდებულებით ნაკისრი 10.000 კილოგრამის ნაცვლად მოკრიფა 13.206 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ხოლო მისმა რგოლმა 4,25 ჰექტარ ჩაის პლანტაციაში მოკრიფა 46.485 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც ჰექტარზე საშუალოდ 10.937 კილოგრამს შეადგენს.

ვ. ჯაყელი
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

ახალ წელს წარმატებით ხვდებიან

გურჯაანი. (საკუთ. კორ.). წარმატებით ამთავრებს 1951 სამეურნეო წელს სოფელ კოლაგის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ამხ. შ. ამისულაშვილი). მიუხედავად არახელსაყრელი კლიმატური პირობებისა, კოლმეურნეთა ენერგიული შრომით აქ 190 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 14 ცენტნერი ხორბალი მოიყვანეს, შრომადღეზე ავანსად გაცემულია 1,5 კილოგრამი ხორბალი, —ნავარაუდევია შრომადღეზე გასცენ 10 მანეთი.

შრომის დისციპლინის განმტკიცებამ, მექანიზაციის დანერგვამ და სასუქის წესიერად გამოყენებამ უზრუნველყო მოსავლიანობის ზრდა. თუ 1949 წელს ხორბლის საშუალო მოსავალი იყო 10 ცენტნერი, 1950 წელს 12 ცენტნერს მიაღწია, ხოლო 1951 წელს — 14 ცენტნერს. კოლმეურნეები მიზნად ისახავენ მომავალ წელს უფრო გაზარდონ მოსავლიანობა. ამის უზრუნველსაყოფად საშემოდგომო თესვა საუკეთესო ვადებში დაამთავრეს.

კოლაგელმა კოლმეურნეებმა წელს ყურძნის კარგი მოსავალი მოიყვანეს. 56 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 67 ცენტნერი ყურძენი მიიღეს. ყურძნის უხვი მოსავალი მოიყვანა მეორე ბრიგადამ, რომელსაც დ. მუნჯიშვილი ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადამ პრემია-წანამატის სახით გასცა 12 ტონა ყურძენი, პირადად ბრიგადირმა მიიღო პრემია—800 კილოგრამი ყურძენი.

კოლმეურნეობამ უკვე შეასრულა მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმა. საგრძნობი წარმატებები აქვთ წველადობაშიც. კოლმეურნეობამ სახელმწიფო დამზადებათა ყველა სახის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა.

ახლა კოლმეურნეობაში მიმდინარეობს ინვენტარიზაცია, ემზადებიან მოსავლისა და შემოსავლის საბოლოო განაწილებისათვის.

მოწინავე საავტომობილო კოლონა

ქარელი. (საკ. კორ.). საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ავტოკოლონამ (უფროსი ვ. აფრიდონიძე), რომელიც ქარელის რაიონში შაქრის ჭარხლის გადაზიდვაზე მუშაობს, საუკეთესო წარმატებას მიაღწია. ავტოკოლონას ქარელისა და აგარის მიმღებ პუნქტებში 1 დეკემბრამდე გეგმით უნდა გადაეზიდა 93 ათასი ცენტნერი შაქრის ჭარხალი, ფაქტიურად ამავე რიცხვისათვის მიზიდულია 12.775 ცენტნერით მეტი ჭარხალი.

ავტოტრანსპორტის უვარიო სვლისა და ტვირთზიდვის გეგმების გადაჭარბებით შესრულებაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მანქანის მძღოლებმა ა. ვაჭრიშვილმა, გ. მალხაზიანმა, ხ. წერეთელმა, ს. ბაბაძემ, შ. ოგანეზოვმა, ი. ნარსიამ, მ. გონჩაროვმა და ა. ხუბაშვილმა.

სპეციალისტები კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებად

მაიაკოვსკი. (სპეც. კორ.). წინათ რაიონში 36 კოლმეურნეობა იყო, ამჟამად კი არის 16. მათი უმრავლესობა მილიონერებია. კოლმეურნეობათა გამსხვილებამდე რაიონში მხოლოდ ორი თავმჯდომარე იყო უმაღლესი აგრონომიული განათლებით.

ამჟამად რაიონში კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებად მუშაობენ 7 აგრონომი უმაღლესი განათლებით, 1 ზოოტექნიკოსი და 6 აგროტექნიკოსი.

დეს ეს, — რომ საჭიროა უნარი ამაში დამნაშავის პოვნისა, სასამართლოსათვის გადასაცემად და ულმობლად დასასჯელად".[7]

შრომის დისციპლინის დამრღვევების, დეზორგანიზატორებისა და „ფრენიების", სპეკულანტებისა და ხულიგნების წინააღმდეგ ბრძოლა ყოველნაირად უნდა გააძლიერონ საბჭოთა სასამართლოებმა. სწორედ „მათ ეკისრებათ შრომის დისციპლინისათვის მოსახლეობის აღზრდის უდიდესი ამოცანა".[8]

სპეკულანტი იგივე მუქთახორაა, რომელიც ცდილობს სხვისი შრომის ხარჯზე იცხოვროს, ძირი გამოუთხაროს საბჭოთა ვაჭრობას. საბჭოთა სასამართლოები ვალდებული არიან ულმობლად ებრძოლონ სპეკულაციას, მოახდინონ სპეკულანტთა იზოლაცია საზოგადოებიდან.

ჩვენი საზოგადოების ეკონომიურ საფუძველს, მისი ძლიერების წყაროს, ყველა მშრომელის შეძლებული და კულტურული ცხოვრების წყაროს წარმოადგენს სოციალისტური საკუთრება. ბოლშევიკურმა პარტიამ და საბჭოთა სახელმწიფომ ჩაუნერგეს ადამიანებს სოციალისტური საკუთრებისადმი ფრთხილი და ყაირათიანი მოპყრობა, მისი დაცვისა და გამრავლებისათვის ზრუნვა. საბჭოთა ადამიანები თვლიან, რომ „ის პირნი, რომელნიც ხელყოფენ საზოგადოებრივ, სოციალისტურ საკუთრებას, ხალხის მტრები არიან" (სსრ კავშირის კონსტიტუცია, მუხ. 131). მაგრამ ჯერ კიდევ არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც არ უფრთხილდებიან სოციალისტურ საკუთრებას, უყაირათოდ ხარჯავენ სახელმწიფოებრივ სახსრებს. კიდევ მეტი: არიან ისეთებიც, რომლებიც პირდაპირ იტაცებენ, ითვისებენ სოციალისტურ საკუთრებას. სოციალისტური საკუთრების დატაცება, მოპარვა, განიავება, ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების უღრესად მავნე და საშიში გამოვლინებაა. მსგავსი ფაქტები კოლმეურნეობებში გამოიხატება წვრილმესაკუთრეული ტენდენციებით, საზოგადოებრივი მიწების და კოლმეურნეობის დოვლათის დატაცებით, რაც დიდ საფრთხეს წარმოადგენს საკოლმეურნეო წყობილებისა და საერთოდ ჩვენი საზოგადოებისათვის.

საბჭოთა სახელმწიფო თავისი არსებობის პირველი დღიდანვე განსაკუთრებით ზრუნავს საზოგადოებრივი საკუთრების დაცვისა და გამრავლებისათვის. ყველა საბჭოთა კანონი, დაწყებული საბჭოთა ხელისუფლების პირველი დეკრეტებით, ერთ-ერთ ძირითად მიზნად ისახავდა საზოგადოებრივი, სოციალისტური საკუთრების დაცვას.

„ბრძოლა საზოგადოებრივი საკუთრების დაცვისათვის, — აღნიშნავს ამხანაგი სტალინი, — ბრძოლა ყველა ღონისძიებითა და საშუალებით, როგორსაც კი გვაძლევენ საბჭოთა ხელისუფლების კანონები, — პარტიის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს".[9]

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ისე დავაყენოთ სახალხო ქონების აღრიცხვა და კონტროლი ყოველ საწარმოსა და დაწესებულებაში, რომ არც ერთ გაიძვერას არ შეეძლოს მიიტაცოს საზოგადოებრივი ქონება, მიითვისოს რამე ფასეულობა, გაფლანგოს სახელმწიფო თანხები. „არცერთი ასმანეთიანი, რომელიც უმართებულოდ ჩავარდა ვისიმე ხელში, არ ასცდეს უკანვე სახელმწიფო ხაზინას"[10] — აი როგორ აღრიცხვასა და კონტროლზე ლაპარაკობდა საბჭოთა სახელმწიფოს მშენებელი ვ. ი. ლენინი. ამხანაგი სტალინი მოითხოვს მტკიცედ დავიცვათ მომჭირნეობა, გამოვიჩინოთ ბოლშევიკური ყაირათიანობა მასალების, ნედლეულის, თანხების ხარჯვაში და საქმე ისე მოვაწყოთ, „რომ სახალხო დოვლათის ერთი კაპიკიც კი ფუჭად არ იკარგებოდეს".[11]

ლენინი და სტალინი გვასწავლიან, რომ სოციალისტური ქონების დამტაცებლების, გამფლანგველების და ქურდების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში იძულების საშუალებებთან ერთად უდიდესი როლის შესრულება შეუძლია საზოგადოებრივ აზრს, საზოგადოებრივი ზეგავლენის ზომებს. ამხანაგი სტალინი ჯერ კიდევ 1926 წელს მოუწოდებდა საბჭოთა ადამიანებს, რომ საჭიროა „შეიქმნას ისეთი ქურდ-ბაცაცების ირგვლივ საერთო მორალური ბოიკოტისა და გარშემო მყოფი საზოგადოების სიძულვილის ატმოსფერო. ეს ღონისძიება იმაში მდგომარეობს, რომ გაჩაღდეს ისეთი კამპანია და შეიქმნას ისეთი მორალური ატმოსფერო მუშებსა და გლეხებს შორის, რომელიც მოსპობდა ქურდობის შესაძლებლობას, შეუძლებელს გახდიდა სახალხო დოვლათის დამტაცებლებისა და ქურდების... ცხოვრებასა და არსებობას".[12]

საბჭოთა წყობილება ყველაზე დემოკრატიული წყობილებაა მთელ მსოფლიოში. საბჭოთა სახელმწიფო აპარატი ისეა ორგანიზებული, რომ ის უზრუნველყოფს ხალხის უფართოესი მასების ჩაბმას მართვა-გამგეობაში, სახელმწიფო ორგანოების კავშირს მშრომელ მასებთან, მასების კონტროლს სახელმწიფო აპარატის მუშაობისადმი. საბჭოთა სახელმწიფო ორგანოების მუშაობის დამახასიათებელია მშრომელთა ინტერესებისა და მოთხოვნილებებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულება, განუწყვეტელი ზრუნვა ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის. საბჭოთა სახელმწიფო აპარატისათვის უცხო და შეუთავსებელია ბიუროკრატიზმი. მაგრამ ძველი წყობილების ეს ნაშთი ჯერ კიდევ პოულობს თავის გამოვლინებას საბჭოთა ორგანოების ცალკეულ რგოლებში, ცალკეულ მუშაკთა მხრივ.

ბიუროკრატიზმი ძველი ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების ერთ-ერთი უღრესად მავნე და საშიში ნაშთია. „ბიუროკრატიზმის საფრთხე, — აღნიშნავს ამხანაგი სტალინი, — უპირველეს ყოვლისა ის არის, რომ იგი გასაქანს არ აძლევს კოლოსალურ რეზერვებს, რომლებიც ჩვენი წყობილების წიაღშია დაფარული, არ გვანებებს მათს გამოყენებას, ცდილობს გააქარწყლოს მასების შემოქმედებითი ინიციატივა, ბოჭავს მას კანცელარიული ხრიკებით და საქმე ისე მიჰყავს, რომ პარტიის ყოველი ახალი წამოწყება წვრილმან და უნაყოფო ჩხირკედელაობად იქცის".[13]

თანამდებობის ბოროტად გამოყენება, მექრთამეობა, კადრების შერჩევასა და დაწინაურებაში ოჯახური, ნათესაური ან კუთხური მოსაზრებებით ხელმძღვანელობა ანტიპარტიული და ანტისახელმწიფოებრივი საქციელია. მექრთამეობისათვის ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს არავითარი ნიადაგი. იგი ძველი წყობილების სამარცხვინო და მეტად საზიანო ნაშთია, რომლის წინააღმდეგაც საჭიროა დაუნდობელი ბრძოლის წარმოება. ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, რომ საჭიროა მივაღწიოთ რეალურ წარმატებებს მექრთამეებისა და გაიძვერების დაპატიმრებასა და უსასტიკესად დასჯაში.

ბოლშევიკური პარტია დაუნდობელ ბრძოლას აწარმოებს ბიუროკრატიზმის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ, უზრუნველყოფს კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლას, რაც ხელს უწყობს ნაკლოვანებათა გამოვლინებასა და აღმოფხვრას, ავითარებს პრინციპულობას, ხალხისადმი ერთგულებას, მომთხოვნელობას თავისი თავისადმი, წინსვლის დაუცხრომელ სურვილს. კრიტიკა და თვითკრიტიკა მთელი ჩვენი საზოგადოების განვითარების უმნიშვნელოვანესი ძალაა, უმძლავრესი იარაღია ყოველივე ძველის, დრომოჭმულის, მუშაობის მოძველებული ფორმებისა და მეთოდების წინააღმდეგ საბრძოლველად. მთელი ამოცანა ისაა, რომ უნარიანად გამოვიყენოთ ეს ბასრი იარაღი ჩვენი საქმიანობისა და ცხოვრების ყველა დარგში.

საბჭოთა ხალხს უსაზღვროდ უყვარს თავისი სოციალისტური სამშობლო. იგი კანონიერად ამაყობს იმით, რომ დიდი საბჭოთა ქვეყნის მოქალაქეა. მან იცის, რომ „საბჭოთა უკანასკნელი მოქალაქე, კაპიტალის ბორკილებისაგან თავისუფალი, გაცილებით უფრო მაღლა დგას მაღალი თანამდებობის ყოველ საზღვარგარეთელ მოხელეზე, რომელიც თავისი კისრით ეწევა კაპიტალისტური მონობის უღელს".[14] საბჭოთა ხალხი აღსავსეა ნაციონალური სიამაყის გრძნობით იმის გამო, რომ მან პირველმა დაამხო კაპიტალიზმი, ააშენა სოციალიზმი და ყველა სხვა ხალხებს უჩვენა თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრების გზა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენი ინტელიგენციის ზოგიერთ ნაწილში ჯერ კიდევ სავსებით არ არის აღმოფხვრილი ბურჟუაზიული კულტურის წინაშე ქედმოხრის, ბურჟუაზიული ნაციონალიზმისა და კოსმოპოლიტიზმის გამოვლინება. ჩვენი ვალია სასტიკი ბრძოლა ვაწარმოოთ ლენინიზმისადმი მტრული იდეოლოგიის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ, ვიბრძოლოთ ყველაზე მოწინავე, ყველაზე იდეური საბჭოთა სოციალისტური კულტურის, მეცნიერების და ხელოვნების განვითარებისა და შემდგომი აღმავლობისათვის, აღვკვეთოთ აპოლიტიკურობის, უიდეობის ყოველი გამოვლინება.

იდეოლოგიურ საკითხებზე საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ისტორიული დადგენილებების განხორციელებისათვის ბრძოლით მნიშვნელოვნად წაიწია წინ მასების კომუნისტური აღზრდის საქმემ. ფილოსოფიის, ბიოლოგიის, ენათმეცნიერების საკითხებზე მოწყობილმა დისკუსიებმა გამოავლინეს ბურჟუაზიული იდეოლოგიის ნაშთების არსებობა საბჭოთა მეცნიერების ცალკეულ დარგებში. ამ დისკუსიებში გაიმარჯვა მარქსისტულ-ლენინურმა მსოფლმხედველობამ.

ამხანაგ სტალინის შრომებმა ენათმეცნიერების საკითხებზე თეორიული საფუძველი ჩაუყარეს საბჭოთა ენათმეცნიერებას, დასახეს მისი სწორი განვითარების გზა, ახალი მძლავრი ბიძგი მისცეს კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლას მეცნიერულ ფრონტზე.

წარსულის ერთ-ერთი ძველი ნაშთი საბჭოთა ადამიანების ერთი ნაწილის შეგნებაში რელიგიური შეხედულებანი და ცრურწმენებია. რელიგია და კომუნიზმი შეუთავსებელია. რელიგია მეცნიერების მტერია, იგი ხელს უშლის ბუნების ძალთა ახსნასა და დამორჩილებას. წარსულის ამ მავნე ნაშთის აღმოფხვრის უმძლავრეს საშუალებას წარმოადგენს საბუნებისმეტყველო-მეცნიერული ცოდნის, მატერიალისტურ შეხედულებათა სისტემატური პროპაგანდა, მასების კულტურული დონის ამაღლება, მათს შეგნებაში სოციალისტური იდეოლოგიის დანერგვა.

ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების დაძლევა ხდება კომუნიზმის მშენებლობაში აქტიური და შეგნებული მონაწილეობის პროცესში. ცხადია, რაც უფრო იზრდება კომუნისტური საზოგადოებრივი ცხოვრების ახალი ფორმები, მით უფრო სუსტდება და ქრება კაპიტალიზმის ნაშთები ადამიანთა შეგნებაში. ბრძოლა წარმოებს ძველსა და ახალს შორის. ახალი, მზარდი, პროგრესული აუცილებლად იმარჯვებს ძველზე, მაგრამ ეს პროცესი თვითდინების გზით როდი მიმდინარეობს. მას ხელმძღვანელობს და წარმართავს ლენინ-სტალინის დიადი პარტია და საბჭოთა სახელმწიფო. კაპიტალიზმის ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლას ემსახურება მასების კომუნისტურად აღზრდის მთელი სისტემა: ბოლშევიკური პროპაგანდა და აგიტაცია, კინო, თეატრი, რადიო, ლიტერატურა და ხელოვნება. მაგრამ მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ მარტო ახსნა-განმარტებით და დარწმუნების მეთოდებით არ შეიძლება აღმოიფხვრას კაპიტალიზმის ნაშთები ადამიანთა შეგნებაში, რომ ამ საქმეში არსებით როლს ასრულებს იძულების ზომებიც.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ დარწმუნების მეთოდი კი არ გამორიცხავს, არამედ გულისხმობს კიდეც იძულებასაც. იძულება ყოველთვის გამოიყენება ყველას წინააღმდეგ, ვინც ნებაყოფლობით არ ასრულებს სოციალისტური საზოგადოების კანონებს, შრომისა და ცხოვრების სოციალისტურ წესებს, ვისაც არ სურს პირადი ინტერესები და ქცევა დაუმორჩილოს მთელი ხალხის ინტერესებსა და ნებისყოფას.

ჩვენი ვალია მაქსიმალურად გამოვიყენოთ ჩვენს ხელთ არსებული ყველა საშუალება, როგორც აღმზრდელობითი, ისევე იძულების საშუალებები, რათა გავათავისუფლოთ ადამიანები კაპიტალიზმის ნაშთებისაგან, წარმატებით გადავწყვიტოთ კომუნიზმის მშენებელ ადამიანთა კომუნისტურად აღზრდის დიადი ამოცანა.

ბოლშევიკური პარტია წარმართავს გმირი საბჭოთა ხალხის ჭეშმარიტად ტიტანურ შრომას კომუნიზმის აშენებისათვის. და აი, როცა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნასთან ერთად წარმატებით იქნება განხორციელებული მშრომელთა კომუნისტური აღზრდის ამოცანაც, როგორც დიდი ლენინი ამბობდა, „მაშინ ფართოდ გაიღება კარები კომუნისტური საზოგადოების პირველი ფაზიდან მის უმაღლეს ფაზაში გადასვლისათვის".

ვ. ესაიაშვილი
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

[7] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. XXII, გვ. 544.
[8] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. XXII, გვ. 498.
[9] ი. სტალინი. ლენინიზმის საკითხები, მე-11 გამოც., გვ. 503.
[10] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. XXII, გვ. 581.
[11] ი. ბ. სტალინი. თხზ., ტ. 8, გვ. 142.
[12] ი. ბ. სტალინი. თხზ., ტ. 8, გვ. 149-150.
[13] ი. ბ. სტალინი. თხზ., ტ. 12, გვ. 356.
[14] ი. ბ. სტალინი. ლენინიზმის საკითხები, მე-11 გამოც., გვ. 734—735.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესია

სპეციალურ პოლიტიკურ კომიტეტში

პარიზი, 15 დეკემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს სპეციალური პოლიტიკური კომიტეტის სხდომაზე გრძელდებოდა საერთო დისკუსია გერმანიაში არჩევნების პირობების გამოსაკვლევად ეგრეთწოდებული საერთაშორისო კომისიის შექმნის საკითხზე.

დღევანდელმა სხდომამ ცხადყო, რომ მთელი რიგი დელეგაციები იმ თვალსაზრისს ემხრობიან, რომ გერმანიაში არჩევნების პირობების გამოსაკვლევად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომისიის შექმნა, რასაც დაჟინებით მოითხოვენ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის დელეგაციები და მათი მომხრე ქვეყნები, უკანონოა და რომ კომისიის შექმნას შეუძლია მხოლოდ განუსაზღვრელი ვადით გააჭიანუროს სრულიად გერმანიის არჩევნების მოწყობა, რომლის მიზანია ერთიანი, დემოკრატიული, დამოუკიდებელი, მშვიდობისმოყვარე გერმანიის შექმნა.

ბირმის დელეგატმა თქვა, რომ ბირმის დელეგაცია მხარს ვერ დაუჭერს დასავლეთის სამი სახელმწიფოს რეზოლუციას, და მტკიცედ მოითხოვა, რომ გერმანიის გაერთიანების საკითხი უწინარეს ყოვლისა გადაწყვიტოს ოთხმა მოკავშირებელმა სახელმწიფომ ურთიერთშეთანხმების გზით.

ინდონეზიის წარმომადგენელი, თუმცა უარყოფდა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომისიის შექმნა ეწინააღმდეგება ამ ორგანიზაციის წესდებას პრინციპებს, მაგრამ მაინც იძულებული გახდა ელიარებინა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის რეზოლუციის მიღება მხოლოდ განუსაზღვრელი დროით გააჭიანურებდა გერმანიის გაერთიანებას და გააძლიერებდა არსებულ უთანხმოებას. მან აღნიშნა, რომ ინდონეზიის დელეგაციას საჭიროდ მიაჩნია, რათა ოთხი მოკავშირებელი სახელმწიფო გერმანელი ხალხის წარმომადგენელთა მონაწილეობით შეთანხმდეს გერმანიის პრობლემის გადაწყვეტის შესახებ.

მაგრამ როგორც ბირმის დელეგატმა, ისე ინდონეზიის დელეგატმა ვერ გამოიჩინეს საკმაო თანმიმდევრულობა თავიანთ პოზიციაში და განაცხადეს, რომ მხარს დაუჭერენ შვეციის დელეგაციის მიერ გუშინ შეტანილ რეზოლუციას. ნამდვილად ეს რეზოლუცია ისევე მიუღებელია, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის რეზოლუცია, რადგან უკანონოა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაში გერმანიის ბედის საკითხის თვით დაყენება. შექმნილია რა თავისი რეზოლუცია, შვეციის დელეგაცია ცდილობდა მიშველებოდა დასავლეთის სამი სახელმწიფოს დელეგაციებს, რომელთა წინადადებაც გერმანიისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომისიის შექმნის შესახებ თავიანთ გამოსვლებში ამხილეს სსრ კავშირისა და მთელი რიგი სხვა სახელმწიფოების წარმომადგენლებმა, აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებმა კომიტეტში გამოსვლის დროს, როგორც გერმანელი ხალხის საშინაო საქმეებში ჩარევა, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა და პოტსდამის შეთანხმების უხეში დარღვევა. შვეციის რეზოლუციის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს, რომ გერმანიის საკითხი უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს ოთხმა დიდმა სახელმწიფომ და რომ, მაშასადამე, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია კომპეტენტური არ არის განიხილოს ეს საკითხი, მიუხედავად ამისა შეიცავს სხვადასხვა წინადადებათა და ღონისძიებათა ვრცელ პროგრამას, რომლებიც სხვა არა არის რა, თუ არა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩარევა გერმანელი ხალხის საშინაო საქმეებში.

შემდეგ გამოვიდა ბელორუსიის სსრ წარმომადგენელი ასტაპენკო, რომელმაც დამაჯერებლად ცხადყო, რომ დასავლეთის სამი სახელმწიფოს წინადადება ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებასა და პოტსდამის შეთანხმების პრინციპებს.

სავსებით ნათელია, თქვა მან, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომისიის შექმნის შესახებ წინადადების მიზანია ხელი შეუშალოს გერმანიის გაერთიანებას დემოკრატიულ საფუძველზე და კიდევ უფრო ძლიერად მიაჯაჭვოს დასავლეთი გერმანია აგრესიული ატლანტიკის ბლოკის სომარ ეტლს.

ასტაპენკომ განაცხადა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებმა კომიტეტში გამოსვლის დროს ცხადყვეს, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელმაც გერმანელ ხალხს დემოკრატიული განვითარების ფართო გზა გაუხსნა, მტკიცედ იბრძვის ერთიანი, დემოკრატიული, მშვიდობისმოყვარე და დამოუკიდებელი გერმანიის სახელმწიფოს შექმნისათვის. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინადადებებს, რომელთა მიზანია ერთიანი, მშვიდობისმოყვარე გერმანიის შექმნა, მხურვალედ უჭერს მხარს ყველა პატიოსანი გერმანელი, მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი.

ბელორუსი ხალხი, განაგრძო მან, რომელმაც ერთი თაობის ცხოვრების მანძილზე ორჯერ განიცადა თავდასხმა—კაიზერის გერმანიისა და ჰიტლერის გერმანიის მხრივ, მხურვალედ უჭერს მხარს გერმანიის დემოკრატიული ძალების წინადადებებს, რომელთა მიზანია ერთიანი, დემოკრატიული, მშვიდობისმოყვარე გერმანიის შექმნა.

დასასრულ ასტაპენკომ განაცხადა: ბელორუსიის სსრ დელეგაცია იმის წინააღმდეგია, რომ გერმანელ ხალხს თავს მოახვიონ შეურაცხმყოფელი კომისია—გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომისია, რომლის შექმნასაც მოითხოვს დასავლეთის სამი სახელმწიფო.

ნორვეგიის დელეგატმა დღეს კანადის, ისლანდიის, დანიის, ჰოლანდიისა და ნორვეგიის დელეგაციათა სახელით შეიტანა შესწორებანი დასავლეთის სამი სახელმწიფოს რეზოლუციასადმი. ეს შესწორებანი, არსებითად, კიდევ უფრო აფართოებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ამ უკანონო კომისიის ფუნქციებს. ამ შესწორებათა ავტორები წინადადებას იძლევიან არ განისაზღვროს საქმე იმით, რომ გერმანიაში არჩევნების პირობები გამოიკვლიოს კომისიამ. მათი აზრით თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია დარწმუნდება, რომ არსებული პირობების მიხედვით შესაძლებელია არჩევნების მოწყობა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ უნდა იკისროს გერმანიაში თავისუფალი არჩევნების მოწყობის უზრუნველყოფა. შესწორებათა ავტორები აგრეთვე წინადადებას იძლევიან, რომ კომისიამ, თუ გერმანიაში ერთ-ერთი მხარე უარს იტყვის კომისიასთან „თანამშრომლობაზე", არ შეწყვიტოს თავისი არსებობა, არამედ „მზად იყოს" იმ შემთხვევისათვის, როცა მდგომარეობა შეიცვლება.

ამრიგად, ახალი შესწორებანი ხსენებულ უკანონო კომისიას აქცევენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თავისებურ მუდმივ ორგანოდ, რომელიც განუსაზღვრელი დროის მანძილზე უნდა ერეოდეს გერმანელი ხალხის საშინაო საქმეებში.

ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის რეზოლუცია საფუძვლიანად გააკრიტიკა უკრაინის სსრ დელეგატმა პალამარჩუკმა. მან განაცხადა, რომ დასავლეთის სამმა სახელმწიფომ, რომლებიც განაგრძობენ საერთაშორისო შეთანხმებათა დარღვევის თავიანთ გზას, გენერალური ასამბლეის ახლანდელ სესიაზე განაახლა ცდები ჩაება გაერთიანებული ერების ორგანიზაცია გერმანიის საკითხის განხილვაში. რათა დაფარონ თავიანთი შეთქმულება ადენაუერთან გერმანელი ხალხის წინააღმდეგ და მშვიდობის წინააღმდეგ და დაამშვიდონ გერმანელები, რომლებიც რემილიტარიზაციის წინააღმდეგ გამოდიან და გერმანიის გაერთიანებას მოითხოვენ, დასავლეთის სამი სახელმწიფო ცდილობს მიაპყროს მათი ყურადღება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რაღაც საერთაშორისო კომისიის შექმნას გერმანიისათვის, ამასთან გერმანია მიაჩნიათ საოკუპაციო ტერიტორიად, რომლის მოსახლეობასაც თითქოს უნარი არ შესწევს დამოუკიდებლად მოაწყოს ეროვნული კრების არჩევნები.

ცხადყო რა ფაქტებით, რომ დასავლეთის სამმა სახელმწიფომ მთელი თავისი პოლიტიკით დაამტკიცა, რომ მათ არ სურთ ანგარიში გაუწიონ გერმანელი ხალხის მისწრაფებას დემოკრატიულ საფუძველზე გერმანიის გაერთიანებისადმი, პალამარჩუკმა ამხილა, თუ რა აგრესიულ მიზნებს ისახავენ ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი და საფრანგეთი დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციისა და ფაშიზაციის პოლიტიკით.

უკრაინის სსრ დელეგატმა განაცხადა: უკრაინის სსრ დელეგაცია იმის წინააღმდეგია, რომ შეიქმნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომისია გერმანიისათვის, და მიაჩნია, რომ გერმანიის ეროვნული კრების არჩევნები მხოლოდ და მხოლოდ გერმანელი ხალხის საშინაო საქმეა. ამიტომ უკრაინის სსრ დელეგაცია უარყოფს დასავლეთის სამი სახელმწიფოს მიერ წარდგენილ რეზოლუციას.

ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი კვლავ დაჟინებით უარს ამბობენ ატომური იარაღის აკრძალვაზე და შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირებაზე

გენერალური ასამბლეის პოლიტიკურ კომიტეტში

პარიზი, 15 დეკემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს გენერალური ასამბლეის პოლიტიკურ კომიტეტში გრძელდებოდა პუნქტობრივი განხილვა სამი სახელმწიფოს რეზოლუციის პროექტისა „მთელი შეიარაღებული ძალებისა და მთელი შეიარაღების რეგულირების, შეზღუდვისა და დაბალანსებული შემცირების" შესახებ, აგრეთვე ამ პროექტის შესწორებებისა, რომლებიც სსრ კავშირის დელეგაციამ შეიტანა.

პოლონეთის დელეგატმა ვერბლოვსკიმ საფუძვლიანად გააკრიტიკა სამი სახელმწიფოს რეზოლუციის გადასინჯული პროექტი და ცხადყო, რომ ამ პროექტში „ძნელად თუ შეამჩნევთ იმ მნიშვნელოვან ცვლილებებს, რომლებზეც ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატმა ჯესეპმა ილაპარაკა" წინა სხდომაზე. გადასინჯული პროექტი, თქვა პოლონეთის დელეგატმა, შეიცავს წინანდელი პროექტის ყველა ძირითად ნაკლს და ამიტომ კომიტეტს არ შეუძლია მიიღოს იგი, როგორც დირექტივა ატომური ენერგიისა და ჩვეულებრივი ტიპის შეიარაღების ახალი კომისიის მუშაობისათვის.

პოლონეთის დელეგატმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ რეალური და კონსტრუქციულია საბჭოთა წინადადებები, რომლებიც ერთ მთლიანობად აკავშირებენ ატომური იარაღის აკრძალვის, ჩვეულებრივი ტიპის შეიარაღების შემცირებისა და კონტროლის პრობლემებს.

დასასრულ ვერბლოვსკიმ აღნიშნა, რომ საჭიროა გაგრძელდეს მეცადინეობა განსახილველ საკითხზე შეთანხმების მისაღწევად. ამას, თქვა ვერბლოვსკიმ, აღნიშნავდა სირიის დელეგატი. მაგრამ ეს მარტო სირიის დელეგატის აზრი როდია. ამ აზრს იზიარებენ მთელი რიგი სხვა დელეგაციები. ბევრი აქ დამსწრეთაგანი იმედს არ კარგავს, რომ გამოინახება კონკრეტული გადაწყვეტილებები როგორც ატომური იარაღის საკითხზე, ისე შეიარაღების სხვა სახეობათა შემცირების საკითხზე. პოლონეთის დელეგაციის აზრით, მხოლოდ საბჭოთა შესწორებების მიღება შექმნის ჯანსაღ და კონკრეტულ საფუძველს კომისიის მომავალი მუშაობისათვის.

შემდეგ გამოვიდა ეგვიპტის დელეგატი. მან განაცხადა, რომ სამი სახელმწიფოს რეზოლუციის პროექტი გვერდს უვლის ატომური იარაღის აკრძალვის საკითხს, რომელსაც ორატორმა ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი უწოდა.

აქ, განაცხადა ეგვიპტის დელეგატმა, ჩვენ გვეუბნებოდნენ, რომ, უბრალო ადამიანის აზრით, ჩვეულებრივი შეიარაღების საკითხი ისეთივე მწვავეა, როგორც ატომური იარაღის საკითხი. მაგრამ პირველი პროფესორი (ეგვიპტის დელეგატს მხედველობაში ჰქონდა პერუს დელეგატი ბელაუნდე, რომელიც გუშინდელ სხდომაზე გამოვიდა) ამაოდ მიაწერს უბრალო ადამიანს იმას, რასაც ნამდვილად თვითონ იგი ფიქრობს. მთელი მსოფლიოს უბრალო ადამიანები შეშფოთებული არიან ატომური იარაღის გამოჩენით და მთელი მათი სურვილი მიმართულია იმისაკენ, რომ არ იქნას დაშვებული ატომის ენერგიის გამოყენება სამხედრო მიზნებისათვის. ატომური იარაღი არ შეგვიძლია მივიჩნიოთ თავდაცვის საშუალებად, რადგან ამ იარაღის ხმარებისაგან შეიძლება დაზარალდნენ არა მარტო და არა იმდენად არმიები, რამდენადაც მშვიდობიანი სამოქალაქო მოსახლეობა. სახელმწიფოს, რომელიც ფიქრობს, რომ მას აქვს უპირატესობა ატომურ შეიარაღებაში, რასაკვირველია სურს შეინარჩუნოს ეს უპირატესობა, როგორც სხვა ქვეყნებზე ზემოქმედების საშუალება და ამიტომ ეწინააღმდეგება ატომური იარაღის აკრძალვას, პირველ პლანზე აყენებს მოთხოვნას კონტროლის შექმნის შესახებ. მაგრამ არსებული ატომური იარაღისადმი, აგრეთვე მისი წარმოებისადმი კონტროლის დაწესების პროცესი ფრიად ხანგრძლივია, ატომური იარაღის აკრძალვის ამოცანა კი დაუყოვნებლივ უნდა გადაწყდეს. მაშ რა უნდა ვქნათ ამ შემთხვევაში? მე მინდა, თქვა ეგვიპტის დელეგატმა, მოვაგონოთ, რათა უფრო ადვილად ვიპოვოთ პასუხი ამ კითხვაზე, რომ მომწამლავ ნივთიერებათა გამოყენება აკრძალულ იქნა ისე, რომ არ ყოფილა დაწესებული კონტროლი ამ აკრძალვისადმი და არ ყოფილა დაწესებული რაიმე სანქცია. მიუხედავად ამისა, ამ აკრძალვას იცავდა ყველა სახელმწიფო, მათ შორის ისინიც, ვინც არ შეუერთდა შესაბამის კონვენციას. მაშ რატომ არ უნდა წავიდეთ ასეთივე გზით და არ ავკრძალოთ ატომური ბომბი?

ეგვიპტის დელეგატმა განაცხადა: თუ ამას მხარს დაუჭერენ, მე შემოვიტან წინადადებას, რომ გენერალურმა ასამბლეამ მთავარ ამოცანად მიიჩნიოს ატომური იარაღისა და მასობრივი მოსპობის სხვა იარაღის უცილობლად აკრძალვა და დაავალოს გენერალური ასამბლეის იურიდიულ კომიტეტს ჯერ კიდევ მიმდინარე სესიის განმავლობაში მოამზადოს პროექტი ხელშეკრულებისა ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ.

დასასრულ ეგვიპტის დელეგატმა განაცხადა, შემომაქვს ეს წინადადება და არ მეშინია, რომ დამწამებენ „ფლირტს საბჭოთა კავშირთან", რადგან, როცა ეგვიპტის დელეგაციას შემოაქვს წინადადება ატომური იარაღის დაუყოვნებლივ აკრძალვის შესახებ, იგი მთელი კაცობრიობის სასიცოცხლო ინტერესებით ხელმძღვანელობს.

პოლონეთის დელეგატის მიერ გამოთქმული აზრი, რომ სამ სახელმწიფოს სურს თავიდან აიცილოს ატომური იარაღის აკრძალვა და ჩვეულებრივი ტიპის შეიარაღების შემცირება, კონკრეტულად დაადასტურა ბოლივიის დელეგატის სიტყვამ, რომელიც მუდამ გამოდის, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის ხმის ამყოლი. მან ატომური ბომბის აკრძალვას „წმინდა წყლის ჰიპოთეზა" უწოდა და განაცხადა, რომ შეიარაღების შემცირებაზე მხოლოდ მაშინ შეიძლება ლაპარაკი, როცა საბჭოთა კავშირი საშუალებას მოგვცემს გადავჭრათ გერმანიისა და ავსტრიის პრობლემები. სხვანაირად რომ ვთქვათ, ბოლივიის დელეგატმა დაადასტურა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს სურთ შეინარჩუნონ ატომურ შეიარაღებაში თავიანთი უპირატესობა, რომელიც მათ ჰგონიათ რომ აქვთ, შეინარჩუნონ იმისათვის, რომ ზეგავლენა მოახდინონ საბჭოთა კავშირზე მთელი რიგი მომწიფებული პოლიტიკური პრობლემების გადაჭრისას. ბოლივიის დელეგატმა მიმართა თავხედურ ცილისმწამებლურ ჭორებს საბჭოთა კავშირის პოლიტიკის წინააღმდეგ. ამასთან მან იმდენად გადაამლაშა და მისი ნათქვამი იმდენად ეწინააღმდეგებოდა მის ბატონთა მოთაფლულ განცხადებებს—თანხმობის საფუძველზე გადაწყვიტონ საკითხი, რომ კომიტეტის თავმჯდომარეც კი იძულებული იყო შეეჩერებინა ეს ალვირახსნილი ცილისმწამებელი.

ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატმა ჯესეპმა, უპასუხა რა ვერბლოვსკის შენიშვნებს, რომ საჭიროა გაგრძელდეს მეცადინეობა შეთანხმების მისაღწევად ურთიერთმისაღებ საფუძველზე, არსებითად უარყო ეს წინადადება და განაცხადა, რომ სამ სახელმწიფოს არ შეუძლია ხელი აიღოს თავისი პროექტის ძირითად პრინციპებზე, რომლებიც, მისი სიტყვით, საფუძვლად უნდა დაედოს ატომური ენერგიისა და ჩვეულებრივი ტიპის შეიარაღებას კომისიის მუშაობას. „ჩვენ არ შეგვიძლია,—თქვა ჯესეპმა,—ყველაფერი თავიდან დავაწყებინოთ ახალ კომისიას".

დამახასიათებელი იყო გამოსვლა სამხრეთ აფრიკის კავშირის დელეგატისა, რომელიც, როგორც ცნობილია, მხარს უჭერს სამი სახელმწიფოს რეზოლუციის პროექტს. მაგრამ ამავე დროს მან განაცხადა, რომ არ მისცემს ხმას სამი სახელმწიფოს რეზოლუციის პროექტის იმ პუნქტს, რომელიც ითვალისწინებს საერთაშორისო საკონტროლო ორგანოს დაარსებას ბარუხის გეგმის საფუძველზე. ამ დელეგატმა თავისი პოზიცია იმით დაასაბუთა, რომ სამხრეთ აფრიკის კავშირია მწარმოებელი უმნიშვნელოვანესი ატომური ნედლეულის — ურანისა, რომელსაც შეიცავს ოქროს მადნეები. ოქროს მოპოვება სამხრეთ აფრიკის კავშირის ეროვნული ეკონომიკის საფუძველია. ამიტომ, თქვა სამხრეთ აფრიკის დელეგატმა, ჩვენ ვერ მივიღებთ საერთაშორისო კონტროლის ისეთ გეგმას, რომელიც იმის მომასწავებელი იქნება, რომ ჩვენ დავკარგავთ უფლებას—განვაგებდეთ ჩვენი ეროვნული არსებობის წყაროს. სხვანაირად რომ ვთქვათ, სამხრეთ აფრიკის დელეგატმა აღიარა, რომ ბარუხის გეგმის საფუძველზე შექმნილი საკონტროლო ორგანო ფაქტიურად მრავალი ქვეყნის ეკონომიკისადმი უცხოური კონტროლის დაწესების იარაღი იქნებოდა.

ამ ფაქტს კვლავ მიაქცია ყურადღება თავის გამოსვლაში ჩეხოსლოვაკიის დელეგატმა სეკანინოვამ. სამი სახელმწიფო, ცვლის რა ატომური იარაღის აკრძალვის საკითხს წინადადებით ბარუხის გეგმის საფუძველზე კონტროლის დაწესების შესახებ, თქვა მან, ამით ცხადყოფს, რომ ისინი არც კი ფიქრობენ ატომური იარაღის საფრთხის მოსპობას, არამედ, პირიქით, ცდილობენ კიდევ უფრო აქტიურად დააგროვონ ატომური იარაღი.

დღევანდელ სხდომაზე დამთავრდა დისკუსია სამი სახელმწიფოს რეზოლუციის პროექტის პრეამბულისა და ამ პრეამბულის საბჭოთა შესწორებებზე. შემდეგ კომიტეტმა განიხილა ამ პროექტის სარეზოლუციო ნაწილის და შესაბამისი საბჭოთა შესწორებების პირველი რამდენიმე პუნქტი.

ინგლის-ეგვიპტის ურთიერთობა

კაირო, 18 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ გაზეთებმა გამოაქვეყნეს ცნობა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის იდენისა და ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრის სალახ ედ-დინ-ფაშის მომავალი შეხვედრის შესახებ.

გაზეთი „ალ-მისრი" წერს, რომ მინისტრთა საბჭომ 16 დეკემბრის სხდომაზე განსაზღვრა ეგვიპტის მოთხოვნები, რომლებიც წამოყენებულ იქნება იდენისა და სალახ ედ-დინ-ფაშის შეხვედრის დროს.

„ეგვიპტის პრემიერ-მინისტრმა ნაჰას-ფაშამ,—აღნიშნავს გაზეთი,—სხდომის შემდეგ განაცხადა, რომ მომავალი მოლაპარაკება იწარმოებს მხოლოდ ეგვიპტის ტერიტორიიდან ინგლისის შეიარაღებული ძალების ევაკუაციის პრინციპისა და ნილოსის ხეობის ქვეყნების გაერთიანების საფუძველზე".

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 17 დეკემბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაქვეყნა ცნობა, რომ კორეის სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან მჭიდრო თანამოქმედებით წინანდელ ხაზებზე ეწევიან თავდაცვით ბრძოლებს და დიდ ზარალს აყენებენ ამერიკელ-ინგლისელ აგრესორებისა და ლისინმანელთა არმიის ჯარებს.

აღმოსავლეთის ფრონტზე სახალხო არმიის ნაწილებმა მთლიანად მოსპეს ამერიკის საზღვაო ქვეითთა ჯარის პირველი დივიზიის რამდენიმე წვრილი ქვეგანაყოფი, რომლებმაც იერიშები მოიტანეს ზოგიერთი დიდმნიშვნელოვანი მაღლობის მიმართულებით, აგრეთვე მოსპეს მოწინააღმდეგის სამი საცეცხლე წერტი.

ცენტრალურ და დასავლეთის ფრონტებზე განსაკუთრებული ცვლილება არ მომხდარა.

16 დეკემბერს სახალხო არმიის ნაწილებმა, რომლებიც დასავლეთის სანაპიროს იცავენ, მთლიანად გაათავისუფლეს ორი კუნძული — ცხო-დო და იუკ-დო.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელ მსროლელთა რაზმებმა ჩამოაგდეს მტრის ოთხი თვითმფრინავი იმათგან, რომლებიც ბომბავდნენ და ტყვიამფრქვევს უშენდნენ აღმოსავლეთ და დასავლეთ სანაპიროს მშვიდობიან დასახლებულ პუნქტებს.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის სამომხმარებლო კოოპერაციის ოცდამეათე წლისთავი

ულან-ბატორი, 17 დეკემბერი. (საკდესი). 30 წელი შეუსრულდა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის სამომხმარებლო კოოპერაციას, რომელიც შეიქმნა მონღოლეთში 1921 წლის დეკემბერში. ამჟამად მონღოლეთის სამომხმარებლო კოოპერაცია აერთიანებს 250 ათას წევრ-მეპაიეს. მუშაობს 300-ზე მეტი პირველადი კოოპერატივი, რომელთაც აქვთ მაღაზიებისა და სხვა კოოპერაციული სავაჭრო საწარმოების ავტოქსელი. განუხრელად ფართოვდება კოოპერაციის საქონელბრუნვა. მაგალითად, მარტო ამ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ფქვილის გაყიდვა გადიდდა 2,1-ჯერ, მწვანე ჩაისა და თამბაქოს—სამჯერ. ბევრად გაიზარდა ბამბეულის, შალეულის ქსოვილებისა და სხვა საქონლის გაყიდვა. ამ წლის 11,5 თვის განმავლობაში სამომხმარებლო კოოპერაციის საერთო საცალო საქონელბრუნვა 1950 წელთან შედარებით გადიდდა 22,8 პროცენტით. მატყლის დამზადება ამავე პერიოდში გაიზარდა 9,2 პროცენტით; გადიდდა აგრეთვე მეცხოველეობის სხვა ნედლეულის, ბეწვეულისა და სხვა პროდუქციის დამზადება.

16 დეკემბერს, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის სამომხმარებლო კოოპერაციის ოცდამეათე წლისთავის გამო, გაიმართა მონღოლეთის კოოპკავშირის საზეიმო სხდომა ულან-ბატორის საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად. მონღოლეთის კოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ლამოჟაბმა, რომელმაც მოხსენება გააკეთა, აღნიშნა საბჭოთა კავშირის დიდი დახმარება მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის სამომხმარებლო კოოპერაციის შექმნასა და განმტკიცებაში.

საზეიმო სხდომის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება მთელი მსოფლიოს მშრომელთა გენიალური ბელადისა და მასწავლებლისადმი, მონღოლი ხალხის საყვარელი მეგობრის—ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი. მიღებულ იქნა აგრეთვე მისალმება მარშალ ჩოიბალსანისადმი.

ამერიკის შეერთებულ შტატებში იბრძვიან სმითის კანონის წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 16 დეკემბერი. (საკდესი). ამერიკელი ხალხი აძლიერებს ბრძოლას პროფაშისტური რეაქციული პოლიტიკის წინააღმდეგ, რასაც ტრუმენის მთავრობა ახორციელებს, და კერძოდ, სმიტის კანონის—„აზრებისადმი კონტროლის" კანონის წინააღმდეგ.

13 დეკემბერს პროგრესული პარტიის ეროვნული კომიტეტის პირველმა თავმჯდომარემ ელმერ ბენსონმა პრესის წარმომადგენლებისადმი განცხადებაში მოუწოდა დაიწყონ მასობრივი კამპანია სმიტის კანონის წინააღმდეგ. ბენსონმა განაცხადა, რომ ამასწინანდელი უარყოფა საბრალდებო დასკვნებისა, რომლებიც სმიტის კანონის საფუძველზე წაუყენეს კომუნისტური პარტიის ორგანიზაციის ხელმძღვანელებს კალიფორნიაში, წარმოადგენს „ამერიკელი ხალხის შესანიშნავ გამარჯვებას... იუსტიციის სამინისტრო მაკგრატის მეთაურობით, რომლის რეპუტაცია ასე ძლიერ შეირყა საზოგადოებრივი აზრის თვალში მექრთამეობისა და მოსყიდვის გამოაშკარავების შედეგად, გადაწყვიტა, რომ შეუძლია საპყრობილეში ჩაყაროს ხალხი მისი იდეებისათვის, უგულებელყოს არსებული კანონები და ქამთამსვლელობით გამართლებული პროცედურა, რასაც ჩვენი კონსტიტუცია ითვალისწინებს; გამოძალოს უზომოდ დიდი საწინდარი, უარყოს თურისტების არჩევა, დაამშობს ისინი, ვისაც საწინდარი შეაქვს, და ფეხქვეშ გათელოს უფლებათა ბილი. ეს არის პასუხი მათდამი.

კალიფორნიის კომუნისტთა წინააღმდეგ წაყენებული ბრალდების უარყოფა, რაც დოქტორ დიუბუას და იმ პირების გამარჯვებას მოჰყვა, რომლებსაც მასთან ერთად სდებდნენ ბრალს, არა მარტო მძიმე ლახვარია, რაც ჩაეცა აზრებისადმი კონტროლის პოლიციას, რომელიც იუსტიციის სამინისტროს ემორჩილება, არამედ რაზმავს ხალხს სმიტის კანონის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისათვის".

ამერიკის შრომის ფედერაციაში, საწარმოო პროფკავშირთა კონგრესში და დამოუკიდებელ პროფკავშირებში შემავალი პროფესიული კავშირების ძირეული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ჯგუფმა ამას წინათ შექმნა დროებითი კომიტეტი, რომელმაც პროფკავშირთა 25 ათას ადგილობრივ განყოფილებას გაუგზავნა წერილები და მოუწოდა მათ შექმნან პროფკავშირთა ეროვნული კომიტეტი 1.000 კაცის შემადგენლობით სმიტის კანონის გაუქმებისათვის საბრძოლველად.

ამერიკის შრომის ფედერაციის თავმჯდომარემ გრინმა, რომელიც შეშფოთებულია რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი ფრონტის ზრდით, გამოაქვეყნა განცხადება, რითაც „აფრთხილებს" პროფკავშირთა ყველა წარმომადგენელს, რომ მათ არ უნდა უპასუხონ მოწოდებას სმიტის კანონის წინააღმდეგ გამოსვლის შესახებ.

ამერიკელი ხალხის მზარდი წინააღმდეგობის გავლენით ისეთმა რეაქციულმა ორგანიზაციამაც კი, როგორიც არის „დემოკრატიული მოქმედების მომხრე ამერიკელები", რომელიც ტრუმენის მთავრობის პოლიტიკის მხარდამჭერ ლიბერალებსა და სოციალ-დემოკრატებს აერთიანებს, განაცხადა, რომ ემხრობა სმიტის კანონის საწინააღმდეგო კამპანიას.

დასავლეთ გერმანიის ფაშიზაცია

ჰააგა, 17 დეკემბერი. (საკდესი). ჰოლანდიის გაზეთის „ალგემაინ ჰანდელსბლადის" კორესპონდენტი დასავლეთ გერმანიიდან იუწყება, რომ იქ გაძლიერდა პოლიტიკური ტერორი, და აღნიშნავს ბონის მთავრობის გულგრილ დამოკიდებულებას ტერორისტული თავდასხმებისადმი, რასაც ნეოფაშისტები აწყობენ. მარტო წარსულ კვირაში, წერს კორესპონდენტი, საფოსტო ამანათებით მიღებულ იქნა სამი ბომბი, რომელთა აფეთქებით მოკლულია ბრემენის გაზეთის რედაქტორი და ფოსტის მოსამსახურე. ბომბებიანი ამანათები გამოგზავნეს ქვემო საქსონიიდან, სადაც ძლიერია ნეოფაშისტური პარტია. ნეოფაშისტური პარტიის აგიტატორები დადიან სოფლებში და წარმოთქვამენ ისეთ სიტყვებს, თითქოს თვით გებელსთან ესწავლოთ. ქვემო საქსონიის მოსამართლეებს ეშინიათ გაასამართლონ ფაშისტები, რადგან ასეთ შემთხვევებში მუქარის წერილები მოსდით. ამას წინათ ერთ მოსამართლეს სასტიკად სცემეს ქუჩაში. ქვემო საქსონიაში ამ ბოლო დროს ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ სასამართლოებს ლმობიერი განაჩენი გამოაქვთ ნეოფაშისტური პარტიის წევრებისათვის. არის ეჭვი, რომ პოლიციის ხელმძღვანელ მოხელეებს კავშირი აქვთ ნეოფაშისტებთან. პოლიცია ამტკიცებს, თითქოს ბომბების აფეთქებას და ნეოფაშისტთა სხვა დანაშაულობას „პოლიტიკური მოტივები არა აქვს".

სასამართლოში

ბოროტმოქმედნი ღირსეულად დაისაჯნენ

თბილკვებაჰრობის წვრილი საცალო ბაზის საწყობის ყოფილმა გამგემ მ. ი. ველიჯანაშვილმა და მისმა მოადგილემ გ. ცერცვაძემ სამ თვეში 10.847 მანეთი გაფლანგეს, დანაშაულის კვალის დასაფარავად პროდუქტების გაფუჭების ყალბი აქტები შეადგინეს, ამ საქმეში მოანგარიშე რ. კერესელიძე, მუშა ი. შამოევი და დამლაგებელი თ. ხატიაშვილი დაიხმარეს. მაგრამ ყალბმა აქტებმა ვერ იხსნა ბოროტმოქმედნი.

მათი საქმე ამას წინათ გაარჩია თბილისის ბერიას რაიონის მე-4 უბნის სახალხო სასამართლომ ამხ. ი. სტურუას თავმჯდომარეობით. სასამართლომ მთავარ ბრალდებულებს მიხეილ იაკობის-ძე ველიჯანაშვილს და გიორგი ანტონის-ძე ცერცვაძეს მიუსაჯა თითოეულს ათი წლის პატიმრობა, ქონების კონფისკაცია და სასჯელის მოხდის შემდეგ ორი წლის ვადით საარჩევნო უფლების ჩამორთმევა. მათვე დაეკისრა თბილკვებაჰრობის სასარგებლოდ 10.847 მანეთის ანაზღაურება. დანარჩენ ბრალდებულებს სასჯელის სხვადასხვა ზომა შეეფარდა.

სასამართლომ გამოიტანა კერძო დადგენილება თბილკვებაჰრობის წვრილი საცალო ბაზის ყოფილი დირექტორის ვ. ახალკაცის, საწყობის გამგის კაზაროვისა და სხვათა მიმართ. საწყობში ანგარიშწარმოება-აღრიცხვის არევისა და დაკისრებული მოვალეობისადმი გულგრილი დამოკიდებულებისათვის ისინი მიცემული არიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

მენდელეევის საზოგადოებაში

20 დეკემბერს, საღამოს 8½ საათზე სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის აუდიტორიაში შედგება მენდელეევის სახელობის სრულიად საკავშირო ქიმიური საზოგადოების საქართველოს განყოფილების პლენუმი, რომელზეც განხილულ იქნება ქიმიის ქართული ტერმინოლოგიის პროექტი.

ლექცია

20 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის პარტკაბინეტში (25 თებერვლის ქ. № 2) შედგება პროფესორ **ზავრიევის** ლექცია თემაზე: **„სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა".**

დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში"

პირველი გვერდი — მოწინავე—მეტი ყურადღება სახალხო სასამართლოების არჩევნებისათვის მზადებას.

საერთო სათაურით „ამომრჩევლები მხურვალედ მიესალმებიან თავიანთ კანდიდატებს" წერილები: ხალხის კანდიდატი. გამოცდილი მოსამართლე, აქტიური საზოგადო მუშაკი. თბილისის საარჩევნო პუნქტებში.

საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში.

ალბანეთის სავაჭრო დელეგაცია მოსკოვში.

ყაზახეთის კ. პ. (ბ) მეხუთე ყრილობა.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში.

მეორე გვერდი — პარტიული ცხოვრება — საამქროს პარტიული ორგანიზაცია. მანქანა-ტრაქტორთა სადგურის კომუნისტები. საქართველოს კ. პ. (ბ) რუსთავის საქალაქო კომიტეტის პლენუმი.

ა. კუმარიტოვი — სოლქო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. ჩ. გრიგოლიაშვილი—არაკეთილსინდისიერი მუშაობის ნაყოფი. პ. შუროვი —ფართო გეგმები და პატარა საქმეები.

გ. კრჟიჟანოვსკი — საბჭოთა ჰიდროელექტრომშენებლობის პირმშო (ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლხოვის ჰიდროელსადგურის ამუშავების 25 წლისთავის გამო).

მესამე გვერდი — კ. მუმლაძე — რუსთავის მეტალურგების რეზერვები. დ. შოთაძე—ამიერკავკასიის ონკოლოგებისა და რენტგენოლოგების თათბირი. მ. მირზოევი — მეტი ყურადღება სოციალისტური საკუთრების დაცვას. რედაქციის ფოსტიდან.

მეოთხე გვერდი — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესია. უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა.

რედაქტორი ბ. ნანიტაშვილი

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1224 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

20 დეკემბერს

6.25 — გლინკას უვერტიურები. 11.30—ქართული ხალხური სიმღერები. 17.15 — ქართული კამერული მუსიკის კონცერტი. 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის. 18.15 — გ. კალაძის ორატორია: „ბავშვობა და ყრმობა ბელადისა". 19.15 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი. 20.00 — ბოროდინის ოპერა: „თავადი იგორი". პირველ ანტრაქტში — საუბარი: ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლო სისტემა მონოპოლიების ინტერესებს იცავს. მეორე ანტრაქტში—ჩინელი პოეტების ლექსები. 00.05—საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები.

დღეს თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — ხიდი (1-ლი აბ. მ. ჟილინას მონაწილეობით); **რუსთაველის სახელობის**—ლალატი; **მარჯანიშვილის სახელობის**—მისი ვარსკვლავი; **გრიბოედოვის სახელობის** — მგლები და ცხვრები (30-31 აბ.); **სომხური დრამის**—გაყიდული სახლი; **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ლადო კეცხოველი (59-ე აბ. 10 ს., 62 აბ. 7 ს. სომხური დრამის შენობაში); **ხანკულტურის**—გულდაგულ (სტუდენტთა ქალაქში); **ცირკი** — დიდი საცირკო წარმოდგენა.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახელობის, „ამირანი", „იხანი", „კოლხიდა"—ტარას შევჩენკო; **„ოქტომბერი", „სპარტაკი", 26 კომისრის სახელობის**—პატარა დედა; **„კომკავშირელი"**—ახალგაზრდა პარტიზანები; **„კოლმეურნე"** — ოცნება გზაში; **„დიდუბე"** — ჰაბუკი ტიგიდან; **„თბილისი"**—უკანასკნელი ღამე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტი აცხადებს, რომ ა. წ. 31 დეკემბერს დღის 2 საათზე ბოტანიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე (აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სალექციო დარბაზში, ფურცელაძის ქ. № 1) ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **სევერიან შარვანის-ძე ჟითაშვილი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„კავკასიური ხურმის ეკოლოგია და მისი გამოყენება სატყეო მეურნეობაში".**

ოფიციალური ოპონენტები: სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ნ. მ. ხომიზურაშვილი** და ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი **გ. ი. მათიკაშვილი.**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ბოტანიკის ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში (კოჯრის გზატკეცილი).

ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების დირექცია სტუდენტთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ 1952 წლის 1 იანვრიდან 10 იანვრამდე ქ. თბილისში (უნივერსიტეტის ქ. № 32) ჩატარდება სასწავლო-საგამოცდო სესია.

სტუდენტთა გამოცხადება სავალდებულოა.

საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან **ივანე მიხეილის-ძე გოჩიტაშვილის** გარდაცვალებას.

და ანა, დისწულები ტერენტი, ვალენტინა, ნინო, ნატა, თამარ კაკუშაძეები, სიძე შალვა ახვლედიანი იუწყებიან **ევა ნიკოლოზის ასულ დევდარიანის** გარდაცვალებას.

შვილი ანეტა, სიძე ივანე, შვილიშვილები გიგი და ზაური გუნცაძეები იუწყებიან **ალეთი ოქროპირის ასულ ცინცაძე-შარაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 20-XII, ლანჩხუთში.

მე-4 სტომატოლოგიური პოლიკლინიკის თანამშრომლები იუწყებიან **ზაქრო ივანეს-ძე ხურგულაძის** გარდაცვალებას.

აკადემიკოს ა. ს. ილადაშვილის სახელობის ქალაქის მეორე კლინიკური საავადმყოფო და მასთან გაერთიანებული პოლიკლინიკების თანამშრომლები იუწყებიან **ანა ივანეს ასულ ლოლუას** გარდაცვალებას.

აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორია-არქეოლოგიის განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ **გიორგი ყაფლანის-ძე ნიორაძის** გარდაცვალებას.

მშობლები მარიამ, გერასიმე, შვილი რუსუდან, ძმა გოგლა, დები ცაცა, ნანა, რძალი კლარა, მამიდა მელანია, ბიძა ერმილე ნეფარიძეები იუწყებიან **ქეთო ლაშხის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 19-XII, 7 ს. გამოსვენება 20-XII, 4 ს. კამოს, 45.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურის, უფაცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო-სატრანსპორტო და ინფორმაციის — 3-80-84, მშრომელთა წერილების—3-72-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 06113